სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 29 მაისი 2004 №121 (2140) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე იაშვილი

ალექსანდრე ჯორჯაძის ფოტო

„სარბიელმა“ მეთორმეტედ ჩაატარა

„სარბიელმა“ მეთორმეტედ ჩაატარა გამოკითხვა სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის გამოსარჩევად. ბოლო სამ სეზონში ჟურნალისტებმა ასეთად კახა კალაძე მიიჩნიეს, ახლა კი კარიერაში პირველად ალექსანდრე იაშვილი გამოცხადდა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად. არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ მისმა გოლებმა „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში დატოვა. იაშკა ხომ ისედაც „ფრაიბურგის“ ერთ-ერთი სიმბოლოა. „ფრაიბურგი“ არ არის დიდი კლუბი, ალექსანდრე იაშვილი კი ნამდვილი ფეხბურთელია, ძალიან საზრიანი და თამაშის საუცხოოდ მცოდნე.

ამიტომ გვგონია, რომ ჯილდო იაშვილს უფრო კარიერისთვის გადაეცემა. ის ყოველ სეზონში კარგია, ის ყოველ სეზონში ფეხბურთელია. მისი თამაში მოხდენილი და სწრაფია, იაშკა გუნდური მოთამაშეცაა და ინდივიდუალურიც. ის ზუსტად რომ პროფესიონალი ფეხბურთელია. ბევრი ქართველი ვარსკვლავისგან განსხვავებით, მან ადრე მიიღო პროფესიონალიზმი და შეძლო, ნამდვილი პროფესიონალი გამხდარიყო. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი კი, ასევე პირველად, ბოლო დროის აღმოჩენა, დავით კვირკველია შეიქნა.

დავით კვირკველია

ალექსანდრე ჯორჯაძის ფოტო

უსაზღვრო დავითი

გურიაში დაწუნებული ლანჩხუთელი საუკეთესოთა...

ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა — ეს დავით კვირკველიას ერთ-ერთი საყვარელი გამოთქმაა და აჰა — ლანჩხუთელი ბიჭი ჯერ თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა, საქართველოს ჩემპიონი გახდა, ორჯერ თასიც ასწია, ესენგეც მოიგო და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

ისე კი, დათოს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, უბრალოდ, მისი ხედვაა ასეთი — ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა. დათოს ბევრი შრომა უყვარს, თავის საყვარელ მარცხენა ფლანგ ზე ბურთის გორება, შეტევა, ჩაწოდება — მეტოქისთვის რეტის დასხმა და თუ საჭირო გახდა, დაცვასაც მარჯვედ ეხმარება. კვირკველია განვლილ სეზონში გამოირჩა, უფრო როგორც შემტევი ნახევარმცველი ვიდრე ჩამშლელი, ხოლო ესენგეს თასის ფინალში რივის „სკონტოს" მისთვის უჩვეულოდ, მარჯვენა ფეხით გაუტანა გოლი.

„დინამომ" კი ჩემპიონობა ვერ შეინარჩუნა, ოდენ თასი მოიხვეჭა, მაგრამ კვირკველია რომ საუკეთესო ფეხბურთელი შეიქნა, იქნებ „დინამოს" ესეც ჩაეთვალოს ტიტულად, თუმც პრიზი და აღიარება დათოსია...

როგორც დინამოელთა უმეტესობა, კვირკველიაც BMW-ს დააგელვებს და რაც შეეხება გემოვნებას, დათო მანქანაში მეტწილად ქართულ ესტრადას უსმენს.

ყველაფერი კი, ნუ გაიკვირვებთ და, მგლობით დაიწყო...



დავით კვირკველია
27.06.80

დებიუტი უმაღლეს ლიგაში	06.05.00	კოლხეთი 5:0 სიონი		
1998-99	ფაზისი	23	8	B
1999-00	კოლხეთი 2	21	8	B
	კოლხეთი	1	0	A
2000-01	კოლხეთი	28	2	A
2001-02	კოლხეთი	32	5	A
2002-03	დინამო	22	3	A
2003-04	დინამო	31	3	A

დავით თავართქილაძე

— დათო, რას ნიშნავს შენთვის ის, რომ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს?

-- ეს ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი აღიარება ყველა ფეხბურთელის ნატვრაა.

— როგორი იყო შენი პირველი ნაბიჯები, როგორ დაიწყე ბურთის დევნა ლანჩხუთში?

— ფეხბურთის თამაში ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლაში დავიწყე, რომელსაც „მგლები" ერქვა. საკმაოდ წარჩინებული სკოლა იყო, ძალიან ბევრი ბავშვი თამაშობდა იქ ფეხბურთს. ვინც გამორჩეული იყო, მათ ხელფასიც ჰქონდათ — მე თვეში 200 მანეთს ვიღებდი. ფეხბურთზე კი დავდიოდი, მაგრამ სკოლას არ ვაცდენდი, შეკრებებიც სასკოლო არდადეგების დროს გვქონდა. თავიდან ცოტა ხნით დაცვაში ვთამაშობდი, მერე კი სულ მარცხენა ნახევარმცველად.

— მარჯვენა ფეხით თამაშის დახვეწას ბავშვობიდან არ ცდილობდი?

— არა, ამაზე ბავშვობაში არ ვვარჯიშობდი.

— რა იყო ბავშვობაში შენი მეტსახელი?

— მაშინაც იმას მეძახდნენ, რასაც ახლა — „კვირკველ".

— „მგლების" შემდეგ სად გააგრძელე თამაში?

— ბათუმის „არჩერში" გადავედი, სადაც მაშინ ცხონებული შალვა აფხაზავაც თამაშობდა. სკოლაც ბათუმში დავამთავრე. შემდეგ გასინჯვაზე წავედი ლანჩხუთის „გურიაში", მაგრამ იქიდან გამომიშვეს. მეორე დღეს ფოთის „ფაზისში" წავედი, ეს გუნდი პირველ ლიგაში გამოდიოდა. ექვსი თვის შემდეგ ფოთის „კოლხეთის" მეორე გუნდში გადავედი, კვლავ პირველი ლიგის გუნდში, რომელსაც სოსო ფილია წვრთნიდა. „კოლხეთის" პირველ გუნდს გია ტყებუჩავა თავკაცობდა და რამდენჯერმე მათამაშა კიდეც იქ, უმაღლეს ლიგაში. მერე „კოლხეთი" ფილიას ჩააბარეს და მეც უმაღლესლიგელი „კოლხეთის" ძირითადში დავმკვიდრდი.

— „დინამოში" როგორ აღმოჩნდი?

— როცა „დინამოს" გივი ნოდია წვრთნიდა, თავისთან გადასვლა შემომთავაზა. მაშინ „კოლხეთში" სულ სამი თვე მქონდა ნათამაშევი და ეგრევე „დინამოში" გადასვლაზე თავი შევიკავე. მოკლედ, „კოლხეთში" დაახლოებით წელიწადნახევარი დავრჩი და მერეღა მივაშურე ივო შუშაკის „დინამოს".

— ეროვნულ ნაკრებში პირველად შვეიცარიასთან თბილისში ითამაშე წინა შესარჩევ ციკლში...

— შვეიცარიამდე რამდენიმე დღით ადრე ირლანდიასთან სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. მომდევნო დღეს კი ხმები მომივიდა, ალექსანდრე ჩივაძე შვეიცარიასთან კვირკველიას სასტარტოში ათამაშებსო. არ მჯეროდა, მაგრამ თამაშის წინა დღეს ჩივაძემ თავის ოთახში დამიბარა და მითხრა, მოემზადეო. ძალიან ვნერვიულობდი, თუმც როგორც კი მინდორზე მოსათელად გავედი, ყველაფერი მომეხსნა.

— ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა — რა იქნება დათო კვირკველიას მორიგი წარმატებული ნაბიჯი?

— კარგ ევროპულ გუნდში გადასვლა. ჩემი ოცნებაა, ესპანეთში ვითამაშო, იქაური ფეხბურთი ძალიან მიყვარს, მაგრამ უარს არც უკრაინასა და რუსეთის წამყვან გუნდებზე ვიტყოდი. განვლილი სეზონის მეორე ეტაპის წინ ჩემით „შახტარი" იყო დაინტერესებული, ახლა კი მოსკოვის „სპარტაკი" იჩენს ინტერესს — „სპარტაკის" წარმომადგენელი მანჰაიმშიც იყო, ჩვენი ეროვნულისა და გერმანიის ახალგაზრდულის მატჩშიც დამაკვირდნენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ეტაპზე „დინამოს" ჩემი გაშვება არ სურს.

— **საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობა როგორ უნდა აღნიშნო?**

— ოჯახთან, მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად გავატარებ დროს, ხოლო პრიზს ჩემს ოთახში, გამოსაჩენ ადგილას დავდებ.

— **პრიზი კარგია, მაგრამ „დინამო" რომ ჩემპიონი ვერ გახდა...**

— ალბათ მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო. ჩემპიონობის დაკარგვამ გული ყველას ძალიან დაგვწყვიტა, ვერავის ვერაფერს დავაბრალებ, უბრალოდ, „დინამოს" კიდევ ერთი ჩემპიონობა არ გამოვიდა.

— **გია გეგუჩაძის მოსვლით „დინამოში" რა შეიცვალა?**

— გეგუჩაძემ უფრო შემტევი სტილი შემოიტანა „დინამოში".

— **„დინამოს" გულშემატკივრებს რას ეტყოდი?**

— დიდ მადლობას, დარი იყო თუ ავდარი, ისინი სულ ჩვენთან იყვნენ. ჩემპიონობის დაკარგვით მათ გული დავწყვიტეთ, მაგრამ თასის მოპოვებით სევდა ცოტა გავუქარწყლეთ.

— **ფეხბურთის თამაშის გარდა კარგად კიდევ რა გეხერხება?**

— მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვთამაშობ და სხვა რაღა უნდა მეხერხებოდეს?

— **როცა ლანჩხუთში ჩადიხარ, იქაც ფეხბურთს თამაშობ?**

— თუ ლანჩხუთში ვარ, ხანდახან სანადიროდ დავდივარ ფრინველებზე. მიყვარს მონადირე ძაღლებიც, მაგრამ მათთვის, აბა, სად მცალია?!



ეს პრიზი ჩემთვის დიდი პატივია და ყველას დიდი მადლობა მინდა მოვუხადო

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელები

1997-98	დავით მუჯირი (დინამო, თბილისი)
1998-99	რატი ალექსიძე (დინამო, თბილისი)
1999-00	ზურაბ იონანიძე (ტორპედო, ქუთაისი)
2000-01	ზაზა ზირაქიშვილი (დინამო, თბილისი)
2001-02	მალხაზ ასათიანი (ტორპედო, ქუთაისი)
2002-03	ზურაბ იონანიძე (ტორპედო, ქუთაისი)

სარბიელის გამოკითხვა

კახა კალაძის ზედიზედ სამგზის ზეობის მერე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს ახალი მფლობელი გამოუჩნდა. 48 ქართველი სპორტული ჟურნალისტიდან, რომლებმაც „სარბიელის“ ყოველწლიურ გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა, 35-მა ჟურნალისტმა „ფრაიბურგის“ ქართველი ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი სამ რჩეულს შორის დაასახელა, მათგან 22-მა კი იაშვილი ანკეტაში პირველ ნომრად ჩაწერა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მონაწილე კი დინამოელი დავით კვირკველია გახდა, რომელმაც იაშვილზე ნაკლები ქულებით გაუსწრო უახლოეს მდევარს — კვირკველიამ და ასევე დინამოელმა ალექსანდრე გოგობერიშვილმა თანაბარი რაოდენობით პირველი ადგილები დაავროვეს და კვირკველიას გამარჯვება მეტი მეორე ხმის წყალობით ერგო.

ქულების დარიცხვის წესი ძველებურია: პირველი ადგილი 5 ქულა, მეორე — 3, მესამე — 1

სარბიელის წინა თერთმეტი გამოკითხვის გამარჯვებულები

1992-93	გიორგი ქინქლაძე	1997-98	შოთა არველაძე
1993-94	შოთა არველაძე	1998-99	ზაზა ჯანაშია
1994-95	აკაკი დევაძე	1999-00	ლევან კობიაშვილი
1995-96	გიორგი ქინქლაძე	2000-01	კახა კალაძე
1996-97	თემურ ქეცბაია	2001-02	კახა კალაძე
		2002-03	კახა კალაძე

საქართველოს 2003-04 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

1	ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი (გერმანია)	22	8	5	139
2	ლევან	კობიაშვილი	შალკე (გერმანია)	5	14	4	71
3	მალხაზ	ასათიანი	ლოკომოტივი (რუსეთი)	—	5	3	13
4	გიორგი	გახოკიძე	ტვენტე (ჰოლანდია)	3	4	6	33
5	ვიტალი	დარასელია	დინამო/ალანია (რუსეთი)	3	4	2	29
6	გიორგი	დემეტრაძე	მ. დონეცკი (უკრაინა)	2	4	3	25
7	მიხეილ	აშვეთია	ლოკომოტივი (რუსეთი)	2	—	8	18
8	ზურაბ	ხიზანიშვილი	რეინჯერსი (შოტლანდია)	1	2	4	15
9	კახა	კალაძე	მილანი (იტალია)	2	1	1	14
	შოთა	არველაძე	რეინჯერსი (შოტლანდია)	1	2	3	14
11	ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი (გერმანია)	—	2	2	8
12	ალექსანდრე	გოგობერიშვილი	დინამო	1	—	—	5
	დავით	კვირკველია	დინამო	—	1	2	5
14	გოჩა	ჯამარაული	მ. დონეცკი (უკრაინა)	—	—	2	2
15	რატი	ალექსიძე	დინამო/როსტოვი (რუსეთი)	—	—	1	1
	სანდრო	იაშვილი	დინამო	—	—	1	1

საქართველოს XV ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

				I	II	III	ქულა
1	დავით	კვირკველია	დინამო	10	7	4	75
2	ალექსანდრე	გოგობერიშვილი	დინამო	10	4	3	65
3	რევაზ	გოცირიძე	ვიტ ჯორჯია	5	7	2	48
4	სანდრო	იაშვილი	დინამო	4	3	5	34
5	ლადო	ახალაია	დინამო	3	4	3	30
6	აკაკი	დევაძე	სპარტაკი	3	2	8	29
7	ბორის	გონჩაროვი	სიონი	—	7	6	27
8	ვიტალი	დარასელია	დინამო/ალანია (რუსეთი)	4	—	—	20
9	თორნიკე	აფციაური	თბილისი	2	2	2	18
10	ოთარ	მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია	1	2	2	13
11	იური	გაბისკირია	სიონი	—	2	4	10
12	გიორგი ნუგ.	ჭელიძე	თბილისი	1	1	—	8
13	გიორგი	ადამია	ვიტ ჯორჯია	1	—	1	6
14	იოსებ	გრიშიკაშვილი	თბილისი	1	—	—	5
	გიორგი	ანჩაბაძე	დინამო	1	—	—	5
	გიორგი	შაშიაშვილი	დინამო	1	—	—	5
17	ლაშა	ნოზაძე	ვიტ ჯორჯია	—	1	—	3
	მირზა	მერლანი	ვიტ ჯორჯია	—	1	—	3
	დავით	იმედაშვილი	ვიტ ჯორჯია	—	1	—	3
	ზურაბ	მამალაძე	ლოკომოტივი	—	1	—	3
	ლადო	ბურდული	დინამო	—	1	—	3
22	დავით	ოდიკაძე	თბილისი	—	—	2	2
	დავით	ჭიჭვეიშვილი	სიონი	—	—	2	2
24	რატი	ალექსიძე	დინამო/როსტოვი (რუსეთი)	—	—	1	1
	ლაშა	სალუქვაძე	ლოკომოტივი	—	—	1	1
	გიორგი	ცინაძე	მცხეთა	—	—	1	1

მიხეილ აბაიშვილი	24 საათი
დავით ბაკურაძე	ინტერნიუსი
ელენე ბილიხოძე	რადიო
თამაზ ბოკერია	იმედი
პაატა ბურჯალიანი	პფლ-ის პრესცენტრი
ლაშა გოდუაძე	ფეხბურთი
აკაკი გვიმრაძე	რეზონანსი
გიორგი გულბანი	არხი
ბიძინა დარჩია	ტვ-ფაზისი
გიორგი დარჯანია	სარბიელი
ლაშა დვალიშვილი	მზე
მიხეილ დუმბაძე	მზე
დავით ერაძე	სარბიელი
გია ეჯიბია	ტვ-ფაზისი
გიორგი ვაშაკიძე	სარბიელი
ლაშა თაბაგარი	სპორტი
დავით თავართქილაძე	სარბიელი
კობა ინასარიძე	სარბიელი
ალექსანდრე კაკაურიძე	ოლიმპი
ფრიდონ კერვალიშვილი	ხვალინდელი დღე
პაატა კვანტალიანი	სარბიელი
სოსო კოტორეიშვილი	სარბიელი
ალეკო ლეჟავა	ევრიკა
მერაბ მაშულაშვილი	სპორტი
დიმიტრი მარინაშვილი	რადიო იმედი
დავით მინაშვილი	მზე
გივი მომცელიძე	სპორტი
გიორგი ნოზაძე	ოლიმპი
დიმიტრი ობოლაძე	რუსთავი 2
თენგიზ პაჭკორია	იტარ-ტასი
გია პლატონიშვილი	საქართველოს რესპუბლიკა
მიხეილ საბახტარაშვილი	ლელო
ლევან სალუქვაძე	იმედი
თეა სუხიშვილი	იმედი
აკა ტონია	24 საათი
გია ტუხაშვილი	მთავარი გაზეთი
დავით ყენია	ოლიმპი
კახა შალამბერიძე	სარბიელი
რევაზ შენგელია	სფფ
დავით ცაბაძე	სპორტი
სანდრო ცნობილაძე	იმედი
ლელა ჭანკოტაძე	ლელო
ჯემალ ჭიპაშვილი	ოლიმპი
ვაჟა ხუციშვილი	სარბიელი
თემურ ჯაფარიძე	არხი
ალექსანდრე ჯიბლაძე	იმედი
მიხეილ ჯორბენაძე	არხი
ნუგზარ ჯულელი	არხი

საქართველოს 2003-04 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

ა. იაშვილი	კობიაშვილი	აშვეთია
დემეტრაძე	ასათიანი	გახოკიძე
ხიზანიშვილი	ასათიანი	დემეტრაძე
დარასელია	ა. იაშვილი	ხიზანიშვილი
ასათიანი	ა. იაშვილი	ცქიტიშვილი
კობიაშვილი	ა. იაშვილი	ხიზანიშვილი
ა. იაშვილი	კობიაშვილი	ხიზანიშვილი
ა. იაშვილი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	კვირკველია	დემეტრაძე
გახოკიძე	ა. იაშვილი	აშვეთია
ასათიანი	გახოკიძე	კობიაშვილი
დემეტრაძე	ასათიანი	გახოკიძე
ა. იაშვილი	ცქიტიშვილი	კვირკველია
კობიაშვილი	ასათიანი	აშვეთია
ა. იაშვილი	კობიაშვილი	აშვეთია
ა. იაშვილი	კობიაშვილი	დარასელია
ა. იაშვილი	ცქიტიშვილი	შ. არველაძე
ა. იაშვილი	კობიაშვილი	გახოკიძე
კობიაშვილი	ა. იაშვილი	გახოკიძე
შ. არველაძე	ა. იაშვილი	აშვეთია
გახოკიძე	ა. იაშვილი	აშვეთია
ა. იაშვილი	გახოკიძე	აშვეთია
ა. იაშვილი	დემეტრაძე	ჯამარაული
ა. იაშვილი	გახოკიძე	დარასელია
—	დარასელია	ასათიანი
ასათიანი	დემეტრაძე	გახოკიძე
ა. იაშვილი	კობიაშვილი	აშვეთია
ა. იაშვილი	კობიაშვილი	ასათიანი
ასათიანი	კობიაშვილი	ა. იაშვილი
აშვეთია	კალაძე	კობიაშვილი
ა. იაშვილი	კობიაშვილი	ცქიტიშვილი
ა. იაშვილი	დემეტრაძე	ხიზანიშვილი
დარასელია	ა. იაშვილი	კვირკველია
დარასელია	ხიზანიშვილი	ა. იაშვილი
კობიაშვილი	შ. არველაძე	ა. იაშვილი
ა. იაშვილი	კობიაშვილი	გახოკიძე
გახოკიძე	კობიაშვილი	ა. იაშვილი
ა. იაშვილი	ასათიანი	კობიაშვილი
ა. იაშვილი	კობიაშვილი	შ. არველაძე
ა. იაშვილი	გახოკიძე	შ. არველაძე
ა. იაშვილი	დარასელია	ალექსიძე
გოგობერიშვილი	დარასელია	ს. იაშვილი
ა. იაშვილი	დემეტრაძე	კობიაშვილი
აშვეთია	კობიაშვილი	ა. იაშვილი
კალაძე	—	—
ა. იაშვილი	დარასელია	დემეტრაძე
ასათიანი	ხიზანიშვილი	ჯამარაული
კალაძე	შ. არველაძე	ასათიანი

საქართველოს XV ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

გოგობერიშვილი	კვირკველია	გონჩაროვი
დარასელია	გონჩაროვი	გოცირიძე
გოცირიძე	გონჩაროვი	დ. ოდიკაძე
კვირკველია	გოცირიძე	აფციაური
ანჩაბაძე	ახალაია	ცინაძე
გოგობერიშვილი	გოცირიძე	გონჩაროვი
მარცვალაძე	მერლანი	გაბისკირია
გოგობერიშვილი	ს. იაშვილი	დევაძე
კვირკველია	გონჩაროვი	მარცვალაძე
გოგობერიშვილი	დევაძე	გაბისკირია
აფციაური	ლ. ნოზაძე	გონჩაროვი
გ. ნუგ. ჭელიძე	მამალაძე	გოგობერიშვილი
გოგობერიშვილი	ს. იაშვილი	ადამია
კვირკველია	გოცირიძე	ახალაია
გოცირიძე	ახალაია	დევაძე
კვირკველია	მარცვალაძე	ს. იაშვილი
გოგობერიშვილი	ახალაია	ს. იაშვილი
ახალაია	გოგობერიშვილი	კვირკველია
ს. იაშვილი	გონჩაროვი	დევაძე
ადამია	გაბისკირია	კვირკველია
გოგობერიშვილი.	გაბისკირია	დევაძე
—	—	დევაძე
დარასელია	აფციაური	ალექსიძე
კვირკველია	გოცირიძე	ჭიჭვეიშვილი
დარასელია	კვირკველია	გოგობერიშვილი
აფციაური	გონჩაროვი	კვირკველია
გოცირიძე	კვირკველია	ჭიჭვეიშვილი
დევაძე	აფციაური	გონჩაროვი
გოცირიძე	გოგობერიშვილი	ს. იაშვილი
შაშიაშვილი	გონჩაროვი	გოცირიძე
გოგობერიშვილი	კვირკველია	მარცვალაძე
გოცირიძე	გონჩაროვი	დევაძე
გოგობერიშვილი	კვირკველია	ახალაია
კვირკველია	გოგობერიშვილი	ს. იაშვილი
კვირკველია	გოგობერიშვილი	გონჩაროვი
გოგობერიშვილი	კვირკველია	ახალაია
ს. იაშვილი	იმედაშვილი	დევაძე
ახალაია	ს. იაშვილი	დევაძე
ახალაია	გოცირიძე	გაბისკირია
კვირკველია	ახალაია	ს. იაშვილი
დარასელია	გოცირიძე	კვირკველია
კვირკველია	ბურდული	დ. ოდიკაძე
კვირკველია	დევაძე	გოგობერიშვილი
დევაძე	მარცვალაძე	გაბისკირია
ს. იაშვილი	—	—
ს. იაშვილი	კვირკველია	აფციაური
გრიშიკაშვილი	გ. ნუგ. ჭელიძე	გონჩაროვი
დევაძე	გოცირიძე	ლ. სალუქვაძე

„სარბიელის“ მეთორმეტე ყოველწლიური გამოკითხვით ***ალექსანდრე იაშვილი*** *სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი გახდა. რატომ არჩიეს გამოკითხულმა სპორტულმა ჟურნალისტებმა იაშვილი, ამაზე დიდხანს შეიძლება ლაპარაკი. ჩვენ მთავარი ვთქვათ.*

ყველამ იცის, ალექსანდრე იაშვილი ძნელად ეგუება წაგებას, ოღონდაც, როგორც ნამდვილი მოთამაშე, თამაშითვე ცდილობს ვითარების გამოსწორებას. ის არასოდეს იღლება და მისი სათამაშო სტილი, რაც საზრიანობის, მოქნილობის და სისწრაფის ნაზავია, არასოდეს იდღაბნება.

ამ ფეხბურთელმა, ახოვანობითა და საჯარიმოში მხრების კვრის შეძლებით რომ ვერ დაიკვეხნის, არაჩვეულებრივი სილამაზის გოლების გატანა იცის, ხოლო მისი წინათგრძნობანი მხოლოდ ნიჭის წყალობაა.

მოვუსმინოთ ალექსანდრე იაშვილს, წლეულს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს

გადმოდ ჯეთელაძის ფოტოები

წესიერი კაცი

გოლები ოჯახს, მადლობა საქართველოს

კობა ინასარიძე

— ტრადიციულად დავიწყოთ, ტრადიციული ორი კითხვით: ელოდი, რომ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელებდით?

— მოლოდინით, არ ველოდი, თუმც საქართველოში საუკეთესობა მიზნად მქონდა და ბედნიერი კაცი ვარ, ეს ჩანაფიქრი რომ ავისრულე. გმადლობთ დაფასებისთვის, ჩემთვის საქართველოში პირველობა დიდი პატივია.

— ანკეტის შევსება შენთვისაც რომ გვეთხოვა, სამეულის როგორ ვარიანტს დაწერდი?

— როგორც ბუნდესლიგაში მოთამაშე, ყველაზე ხშირად თანაგუნდელი ცქიტიშვილისა და „შალკეში“ წლეულს გადასული კობიაშვილის თამაშებს ვუცქერდი. ცქიტიშვილს მართლაც ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა, ალბათ ერთ-ერთი გამორჩეული კარიერაში. კობიაშვილი კი... თუნდაც ის ფაქტი, „შალკეს“ მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ყოველ ინტერვიუს კობიაშვილის ქებით რომ იწყებს და ამთავრებს, თავისთავად ბევრს ნიშნავს. ლევანმა სათადარიგოთა სკამზე დასვა კონკურენტი დარიო როდრიგესი, რომელიც ურუგვაის ნაკრების კაპიტანია და „შალკემ“ მის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადა. წლეულს აშვეთიამ და ასათიანმაც კარგად ითამაშეს, მათ ჩემპიონთა ლიგაშიც ხომ თავი გამოიჩინეს. კალაძეს კი ტრავმის გამო ფაქტობრივად არ უთამაშია.

— ფიქრობ, რომ წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონი გქონდა?

— რაკი საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს, ესე იგი, საუკეთესო სეზონი ჩავატარე. ისე კი, შარშანწინაც, როცა „ფრაიბურგმა“ უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, არა მიშავდა. შარშანდელი თამაშითაც კმაყოფილი ვარ, მეორე ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე გავედით. თუმც წლევანდელ სეზონს მაინც ვერც ერთს შევადარებ, მე ხომ საქართველოში საუკეთესო ვარ!

— წლეულს ყველაზე მეტად რამ გაგახარა?

— ქალიშვილის დაბადებამ, მამა ვარ.

— ეგ მართლაც დიდი ბედნიერებაა, ღმერთმა სასახელო გოგო გაგიზარდოთ.

— დიდი მადლობა.

— ქალიშვილს რა ჰქვია?

— თამარი, ოთხი თვისაა.

— ფეხბურთელ ალექსანდრე იაშვილს ყველაზე მეტად რა გაუხარდა?

— ის, რომ „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში დარჩა. ბუნდესლიგაში შარშან გადასულთაგან მხოლოდ „ფრაიბურგმა“ შეინარჩუნა ადგილი. არადა, ისეთი ქალაქების გუნდები გავარდნენ, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სტადიონებს რეკონსტრუქცია გაუკეთეს.

— წლეულს იაშვილის საუკეთესო თამაში რომელი იყო?

— „ვოლფსბურგთან“. „ფრაიბურგმა“ 3:2 მოიგო, სამივე გოლი იაშვილმა გაიტანა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

— ყველაზე ლამაზი გოლი?

— ჯერჯერობით ყველაზე ლამაზი გოლი თასზე, „ბაბელსბერგთან“ გავიტანე. რაღაც სასწაული იყო. მატჩის შემდეგ „ბაბელსბერგის“ მეკარემ თქვა, კარგია, როცა ასეთი გოლის სანახავად ბილეთის ყიდვა არ გჭირდება, მადლობა იაშვილს ასეთი სიამოვნებისთვისო.

— კეთილი. მოდი, ახლა ფრაიბურგში მცხოვრებ იაშვილზე ვთქვათ. როგორ ატარებს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ერთ, ჩვეულებრივ დღეს?

— გააჩნია, დღეში ერთი ვარჯიში გვაქვს თუ ორი. თუ ორჯერ ვვარჯიშობთ, პირველი ათის ნახევარზე გვეწყება და წესია, ბაზაზე ნახევარი საათით ადრე უნდა ვიყო. ამიტომაც, დილით ადრე მიწევს ადგომა, ვსაუზმობ და სავარჯიშოდ მივდივარ. სტადიონი სახლიდან 10 წუთის გზაზეა. ვარჯიში თუ მხოლოდ საღამოს გვაქვს, ამას არაფერი მიჯობს, თორმეტ-პირველ საათამდე მძინავს, მერე ვსადილობ, ოჯახთან ვარ, პატარას ვეთამაშები და ოთხი საათისთვის ბაზაზე მივდივარ. ხუთის ნახევარზე ვარჯიშია, აღდგენითი პროცედურები და შინ რვა საათისთვის ვბრუნდები. საღამოს კი, თუ კარგი ამინდია, თამართან და მეუღლესთან ერთად ქალაქში ვსეირნობ.

— ქალაქში რით ერთობით?

— თუ დედაჩემი ან სიდედრია ჩვენთან, თამარს მათ ვუტოვებთ. მე და მეუღლე კი კინოში მივდივართ. კინო ძალიან მიყვარს და თამარის დაბადების შემდეგ ახალი ფილმების ნახვას ხშირად ვეღარ ვახერხებ. თუ კინოში არ ვართ, მაშინ ერთად ვვახშმობთ. ჩინურ

ან იაპონურ რესტორნებს ვსტუმრობთ ხოლმე.

— ჩხირებს კარგად ხმარობ?

— კარგად კი არა, საერთოდ ვერ ვხმარობ. ვერ ვისწავლე.

— თამაშისთვის როგორ ემზადები? ორი დღით ადრე ბაზაზე იკრიბებით?

— არა, დილით, თამაშამდე ხუთსაათნახევრით ადრე სტადიონზე ვიკრიბებით, იქ ვსადილობთ და მატჩისთვის ვემზადებით. ბუნდესლიგაში 18 გუნდიდან მხოლოდ ორია, რომლებიც მატჩის წინა დღეს არ იკრიბებიან.

— თუ სტუმრად თამაშობთ?

— გააჩნია, საღ ვთამაშობთ. თუ შორს, მაგალითად, ბერლინში, მივფრინავთ და სასტუმროში ვჩერდებით. თუ ხუთი საათის ან ნაკლების გზაა მასპინძელ ქალაქამდე, მაშინ ავტობუსით მივდივართ, თუ უფრო მეტი სავალია, მატარებლით, პირველი კლასით ვმგზავრობთ, თუმც უკან მაინც ავტობუსით ვბრუნდებით.

— ავტობუსი, ალბათ, ძალიან კომფორტულია.

— კომფორტულია რომელია. კლუბმა მილიონ ასი ათასი ევრო გადაიხადა. წარმოიდგინეთ, მოძრავი სახლია. საძინებელი, სამზარეულო, აბაზანა, ტუალეტი, ტელევიზორი, ვიდეო, DVD... მოკლედ, რაც სახლში მჭირდება, ავტობუსში ყველაფერია.

— ყველას თქვენი ადგილი გაქვთ?

— რა თქმა უნდა. ყველაზე მაგარი კი საქართველოს ადგილია. მე და ცქიტიშვილი ერთმანეთის პირისპირ, ბოლოში ვსხედვართ... ანუ გავშლით სავარძელს და წამოწოლილები ვართ.

— ცქიტიშვილის გარდა, გუნდში ვისთან ძმაკაცობ?

— ფრანგ რამდანესთან და ლიბანელ ანტართან. მათთან ძალიან ახლოს ვართ. ამას წინათ რამდანესთან ქორწილშიც კი ვიყავით. მან „ჰანოვერის" მწვრთნელის ევანდ ლინენის ქალიშვილი ითხოვა და ქორწილი კიოლნში გადაიხადა.

— პედანტურობით გამორჩეულ გერმანელებს კარგად შეეგუე?

— ასე რომ არ იყოს, შვიდი წელი გერმანიაში ვერ ვიცხოვრებდი. მე წესიერი კაცი ვარ და წესიერებას ვაფასებ. მსიამოვნებს მოწესრიგებულ ხალხთან ურთიერთობა. ამბობენ, გერმანელები გულცივები არიანო. ყველა ასეთია, თუ შენგან სითბოს არ დაინახავენ.

— „ფრაიბურგში" ვარჯიშზე დაგვიანებისთვის ჯარიმა რამდენია?

— წუთი 5 ევროა. ერთხელ, „ფრაიბურგში" ახალმისული ვარ და, მწვრთნელმა ფინკემ ვარჯიშზე დაგვიანა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა?

— ჯარიმას გადაიხდიდა.

— ჯარიმა მას ფეხბურთელებმა გადაახდევინეს.

— შენ თუ დაჯარიმებულხარ?

— სამჯერ, შვიდ წელიწადში.

— რა მიზეზით?

— ერთხელ მე და ცქიტიშვილი ბაზელიდან ვბრუნდებოდით, გზის ნახევარი გამოვლილი გვქონდა, ფრაიბურგამდე 30 კილომეტრი გვრჩებოდა და ვარჯიშამდე თითქმის ერთი საათი, მაგრამ გადატვირთული მოძრაობა იყო და მაინც დაგვაგვიანდა.

— ორჯერ?

— ორჯერ კი მაღვიძარამ დამაღალატა.

— და რას გეუბნებიან, როცა აგვიანებ?

— არაფერს. იცი, რომ ჯარიმაა გადასახდელი და უნდა გადაიხადო.

— იაშვილი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი — ამ სეზონამდე რამდენიმე წელი ერთად იყავით. კობიაშვილის წასვლის მერე ორნი დარჩით. არ გიჭირთ?

— ჩვენ რა გვიჭირს, ერთმანეთს ხშირად ვნახულობთ. კობიაშვილის წასვლით „ფრაიბურგს" უფრო მეტი დააკლდა, ვიდრე ჩვენ.

— როგორ ფიქრობ, ფეხბურთელ იაშვილს რა ნაკლი აქვს?

— ნაკლი? აბა, უნაკლო რომ ვიყო, რონალდო ვიქნებოდი. მეტი სისწრაფე რომ მქონდეს უკეთესი იქნებოდა.

— შენი პლუსი რა არის?

— ბურთთან ურთიერთობა და აზროვნება.

— ბუნდესლიგაში, უამრავ ვარსკვლავთან ერთად თამაშობ. რომელს იცნობ ყველაზე ახლოს?

— ცნობით ყველას ვიცნობ და მეც მიცნობენ. მაგრამ ახლო და მეგობრული ურთიერთობა არავისთან მაქვს. ვესალმებით, მოვიკითხავთ ერთმანეთს და ეგაა.

— ამ სეზონში ყველაზე მეტად რომელ მცველთან გიჭირდა თამაში?

— გამორჩევით ვერ ვიტყვი. ისე, მე კი არა, ბუნდესლიგის ყველა გუნდს „ვერდერის" დაცვასთან უჭირდა.

— გამორჩეულად რომელი ფეხბურთელის წინააღმდეგ არ გსიამოვნებს თამაში?

— ადრე, „მიუნხენში" თამაშობდა ბულგარელი ბოლიმიროვი. მას ბუნდესლიგაში რამდენი გოლიც აქვს გატანილი, ყველა „ფრიაბურგის" კარში. მთელი სეზონი უქმად იყო ხოლმე, ჩვენთან კი გოლები წყვილწყვილად გაჰქონდა. ჩვენთვის ძალიან უხერხული ფეხბურთელი იყო.

— ყველაზე მეტად რომელ გუნდთან გიადვილდება თამაში?

— „კაიზერსლაუტერნი" გვყავდა გამოჭერილი. ბოლო ხუთი სეზონი, შინ თუ სტუმრად, მოგებული ყველგან ჩვენ ვრჩებოდით.

— ცხოვრებაში რა გაღიზიანებს?

— უსამართლობა.

— მოედანზე?

— წაგება. ფეხბურთს რომ წავაგებ, ხომ ვგიჟდები და, გული არანაკლებ მაშინაც მომდის, როცა მეგობრებთან თუნდაც ბანქოს ვთამაშობ და ვაგებ.

— გული რაზე გწყდება?

— ნაკრების წარუმატებლობაზე.

— გოლის გატანის შემდეგ შენებური რიტუალი როგორია?

— ცოლის მოყვანის შემდეგ ყველა გოლი ჩემს ოჯახს ეძღვნება და მეც ბეჭდიან თითს ვკოცნი ხოლმე. ისე, გოლს ხანდახან სხვანაირადაც აღვნიშნავ, ეს ხომ დიდი სიხარულია.

— ნაკრები ვახსენეთ და, არაფერი ვთქვათ?

— ის ვთქვათ, რომ მარტო ახალი მწვრთნელი ვერაფერს გვიშველის. ჟირესს ჩვენ, ფეხბურთელებმაც უნდა შევუწყოთ ხელი და ყველამ ისე ვითამაშოთ, როგორც კლუბებში. ევროპაში არც ერთ საშუალო დონის ნაკრებს არ ჰყავს იმდენი და ისეთი დონის ფეხბურთელები, როგორიც და რამდენიც საქართველოს ნაკრებს.

— კლუბებიო, თქვი. რატომ ვერ თამაშობთ ნაკრებში ისე, როგორც კლუბში?

— რთული კითხვაა და მიჭირს გიპასუხო. აგერ, ბატონო, კარგი მწვრთნელი გვსურდა და გვყავს კიდეც, მაგრამ ის მარტო ვერაფერს გააკეთებს, ჩვენც უნდა დავეხმაროთ. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ვარ, როცა ჩემი თანაგუნდელები თავ-თავიანთი ქვეყნების ნაკრებებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაშობენ. შეიცარია ავიღოთ: ამ გუნდს არც ჩვენზე ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს და არც მწვრთნელად ჰყავდა კაპელო, თუმც შარშან ევროპაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

— ამ წლის რაიმე კურიოზიც გაიხსენე?

— წლეულს არა, მაგრამ ოთხიხუთი წლის წინანდელ იმ ამბავს მოგიყვებით, რაც „ნიურნბერგს" გადახდა. ბუნდესლიგის ბოლო ტურია და ნიურნბერგში ვთამაშობთ, ორივე გავარდნის პირას ვართ და ჩვენს გარდა კიდევ ორი გუნდია სახიფათო ზონაში. ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნების ყველაზე კარგი შანსი კი სწორედ „ნიურნბერგს" აქვს. ან უნდა მოგვიგონ, ან ფრეც ჰყოფნით. თუ წააგეს და, მაშინ „აინტრახტმა" „კაიზერსლაუტერნთან" ოთხბურთიანი სხვაობით ვერ უნდა მოიგოს. მოკლედ ნიურნბერგში ვართ. თამაშის წინ სტადიონზე ერთი ამბავია, ხალხი ზეიმობს ბუნდესლიგაში დარჩენას, ფეხბურთელებს გმირები უწოდეს, მწვრთნელი კი ნაირ-ნაირი სიგელებით დააჯილდოვეს. მე-80 წუთია და 2:1 ვიგებთ, ფრანკფურტში კი 1:1-ია. საბოლოოდ, ჩვენი მატჩი ასევე მორჩა და ნიურნბერგის სტადიონი კინაღამ დაინგრა, ფოიერვერკიც კი იყო, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნების აღსანიშნად. გასახდელში ვართ და მასპინძელი ფეხბურთელები შემოვიდნენ, გვილოცავდნენ და თავსაც ულოცავდნენ



ბაფრი ჯიოლბაძის ფოტო

არგავარდნას. შამპანურებიც გახსნეს და ამ დროს „ნიურნბერგის" აცრემლებული მასაჟისტი შემოდის, გავვარდითო. ფეხბურთელები მას გაკვირვებულები მისჩერებოდნენ, საბოლოოდ კი ისევ მასაჟისტმა ამოიღო ხმა — „აინტრახტმა" 5:1 მოიგოო. ვერ წარმოიდგენთ, იქ რა ხდებოდა. ტრიბუნაზე მყოფ რამდენიმე ქომაგს, მგონი, ინფარქტმაც დაარტყა. ჩეხი პაველ კუკა თამაშობდა მაშინ „ნიურნბეგში", ასეთი რამ თუ მოხდებოდა, სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდიო.

— შენ როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი? გაისადაც „ფრაიბურგში" ითამაშებ?

— ფრაიბურგთან" ამას წინათ ახალი, სამწლიანი კონტრაქტი კი გავაფორმე, მაგრამ შემიძლია, ეს კლუბი ახლავე დავტოვო, ანაც ნებისმიერ დროს, როცა სატრანსფერო სეზონი იქნება.

— ვიცით, რომ ბუნდესლიგის რამდენიმე გუნდია შენით დაინტერესებული.

— ეს მეც ვიცი, მაგრამ... „ფრაიბურგიდან" მხოლოდ ბუნდესლიგის ექვსეულის გუნდებში თუ წავალ.

— მაგალითად, „ჰამბურგი" წლეულს ვერ მოხვდა ექვსეულში. რომ დაგიძახონ, არ წახვალ ამ კლუბში?

— „ჰამბურგი" გამომრჩა, წავალ, როგორ არა. იმის თქმა მსურს, რომ „ჰანზაში", „ჰანოვერში", „კიოლნში" და მეტ-ნაკლებად „ფრაიბურგის" დონის გუნდებში ჩემს გადასვლას აზრი არ აქვს.

— სხვა ქვეყნებიდან არ გიწვევენ?

— ესპანეთში შემომთავაზეს თამაში, მაგრამ თავად ვთქვი უარი. გერმანია მირჩევნია. აქაურობას შეგუებული ვარ.

— გმადლობთ და გილოცავთ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელობას...

— დიდი მადლობა. მადლობა თქვენ, ჟურნალისტებს და მადლობა მთელ საქართველოს. ვეცდები, „სარბიელის" პრიზი გაისადაც დავიმსახურო. გმადლობთ!

უკვე ხმაურია

დღეს ორი უმაღლესლიგელის ვინაობა გაირკვევა. თბილისსა და ქუთაისში საპლეიოფო მატჩებია. ავლაბარში „რუსთავი“ „მცხეთას“ შეხვდება, „ტორპედო ზე“ კი „ბათუმი“ „მილანთან“ გაარკვევს ურთიერთობას

ქუთაისი. 29 მაისი. 17.30 საათი. ტორპედო



შევასკდებით!

ქუთაისურ მატჩს დიდი მითქმა-მოთქმა ახლავს, ამბობენ, „ბათუმის“ უმაღლესში დარჩენა გადაწყვეტილი ამბავიაო და მთავარ არგუმენტად პოლიტიკური მოტივი მოჰყავთ — აჭარის გუნდს პირველი ლიგისთვის არ გაიმეტებენო. „ბათუმი“ იმ ოთხ გუნდს შორისაა, არასდროს რომ არ გავარდნილან ქართული უმაღლესიდან, თუმც აჭარელები პირველ ლიგასთან ასე ახლოსაც არასდროს ყოფილან.

„მილანი“ გუშინ გაემგზავრა ქუთაისში და საღორიის ბაზაზე დაბანაკდა. მატჩისწინა მითქმა-მოთქმით შეშფოთებულია „მილანის“ პრეზიდენტი მარიამ ფირცხალაიშვილი. მესმის, რომ აჭარის თემა დღესდღეობით ასე აქტუალურია, მაგრამ ამის გამო ჩვენ რატომ უნდა დავიჩაგროთ?! კახეთს არ უნდა ჰქონდეს ფეხბურთი?! ჩვენ ერთ სეზონში მოვახერხეთ უმაღლესში დასაბრუნებელი შანსის შენარჩუნება და იოლად ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ. ჩემი გუნდი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეასკდება მეტოქესო, გვითხრა მარიამ ფირცხალაიშვილმა. მისი თქმით, მილანელებს ამ მატჩში წარმატებისთვის სოლიდური პრემიები ელით. „მილანს“ დღეს არ ეყოლება ლიდერი ზაზა მედოევი, რომელიც დისკვალიფიცირებულია მსაჯთან ჩხუბის გამო.



რუსთავს მცხეთა მწარედ ახსოვს

არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩია „ისანზე“. „რუსთავს“ ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი „მცხეთასთან“. შარშან სწორედ მცხეთელებთან მარცხით დაკარგა რუსთავულმა გუნდმა უმაღლეს ლიგაში ადგილი, თუმც საამსეზონოდ ვარლამ კილასონიას ძალისხმევით ერთ დროს მდიდარი და დღეს მწირბიუჯეტიანი გუნდი უმაღლეს ლიგასთან ახლოსაა. „ისანზე“ კილასონიას გუნდს ქომაგიც ბევრი ჩაჰყვება — ქალაქის ხელმძღვანელობამ საამმატჩოდ გულშემატკივრებისთვის ორი ავტობუსი და ათამდე მიკროავტობუსი გაახერხა. მატჩზე დასწრების მსურველი კი გაცილებით მეტია და, სავარაუდოდ, „ისანზე“ უფრო მეტ ადგილს რუსთაველები დაიჭერენ.

„მცხეთამ“ გადამწყვეტი მატჩისთვის მზადებისას ერთი საკონტროლო თამაში გაჩარხა და ხუთშაბათს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს შეხვდა. გუნდის თავკაცმა ჯანო ფოფხაძემ ძირითადი ბირთვი ათამაშა, ამათ დიმიტრი პარამონოვიც დაუმატა და 6:3 დაამარცხა მეტოქე, თუმც ჯერაც უმაღლესლიგელებს ბევრი ხარვეზი ჰქონდათ დაცვაში.

საპლეიოფო მატჩები ექვსის ნახევარზე დაიწყება. ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დამატებითი ორი ტაიმი დაინიშნება „ვერცხლის გოლის“ წესით, თუკი ამანაც ვერ გაარკვია გამარჯვებული, საქმე პენალტებამდე მივა.

ჩემპიონატის ბოლო ტურის მსგავსად, მსაჯთა ვინაობა ახლაც გასაიდუმლოებულია. საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს: მსაჯებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და მთავარია, თავიანთი საქმე პატიოსნად და კვალიფიციურად შეასრულონ.

პაატა ძვანტალიანი



„ვიტ ჯორჯიას“ მთავარმა მწვრთნელმა მომავალ მატჩზე ვრცლად ილაპარაკა და კლუბის პრეზიდენტის გურამ რუხაძის სიტყვებიც მოიშველია — ეს ჩვენი ცხოვრების მატჩიაო...

...პირველ რიგში მსურს, თბილისის „დინამოს“ თასი მივულოცო. ასეთი ფინალის შემდეგ ჩვენც ვალდებულები ვართ, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ.

...ვისურვებდი, რომ 30 მაისს ყველაფერი სამართლიან და კაცურ ორთაბრძოლაში გადაწყდეს და ღირსეულმა გაიმარჯვოს. ვფიქრობ, არბიტრები თავს გაართმევენ საქმეს და ობიექტურად განსჯიან.

...ჩვენი მეტოქე „სიონი“ საკმაოდ გამოცდილი გუნდია. არაერთ ბოლნისელს სხვადასხვა გუნდში უთამაშია, თუმცა მაინც იური გაბისკირიასა და თენგიზ სიჭინავას გამოვარჩევდი.

...ჩვენი გუნდი მძიმე რეჟიმს უკვე მიეჩვია. ბოლო სამ ტურში, ფაქტობრივად, ქულის დაკარგვის უფლებაც არ გვქონდა და ამ ამოცანას თავი გავართვით. უეჭველია, დაძაბული თამაში იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტებად ჩვენ მივიჩნევით, შანსებს მაინც თანაბრად ვაფასებ. თუმცა ფავორიტად ჩვენი მონათვლაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ალბათ ეს დავიმსახურეთ. დროცაა, ჩემპიონები გავხდეთ. გუნდთან ერთად იქნება „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე, რომელიც გერმანიიდან ჩამოვიდა.

...ამ უპრინციპულეს მატჩში, საბედნიეროდ, არც ერთი წამყვანი ფეხბურთელი არ დაგვაკლდება. ყველა ჯანზეა და შეხვედრისთვის ემზადება.

...ოქროს მატჩია და ყველაფრისთვის მზად ვართ. მეორე დღეა, ჩემი ფეხბურთელები პენალტებში ვარჯიშობენ. გუნდში განსაკუთრებული განწყობაა თუნდაც იმიტომ, რომ ბიჭებმა იციან, მოგების შემთხვევაში ოქროს მედლებს და საქართველოს ჩემპიონის სახელს მოიპოვებენ. თუმცა ისინი უკვე შევიდნენ ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ვინაიდან პირველი ოქროს მატჩის მონაწილეები იქნებიან.

... „სიონს“ აქვს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. საინტერესო იქნება ჩემი და მახარაძის სამწვრთნელო დუელიც. მახარაძე გამოცდილი მწვრთნელია და მისთვის რაიმე სურპრიზების შეთავაზება საკმაოდ ძნელია. ანუ ის, რაც „დინამოსთან“ გამოვიდა, შეიძლება მასთან არ გამოვიდეს. თანაც „დინამოსთან“ უნდა გაგვერისკა, ფრე ხელს არ გვაძლევდა, „სიონთან“ კი სხვა თამაში იქნება.

...არა მგონია, დიდ მოედანს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ მალე ორივე გუნდს ევროპაში თამაში გვიწევს, სადაც მოედნები უეფას სტანდარტებისაა. „ვიტ ჯორჯია“ უფრო სწრაფ გუნდად ითვლება და ალბათ დიდი მინდვრის სივრცეები მცირე უპირატესობას მოგვანიჭებს.

დავით ერაძე

ეს ჩვენთვის ცხოვრების ტატჩია

ბოლო კვირაა, საფეხბურთო საქართველოს სანახაობა არ აკლია. 26 მაისის თასის ფინალიდან მოყოლებული, ჯერ საქართველოს ახალგაზრდულმა, ხოლ შემდეგ ეროვნულმა ნაკრებებმა იბურთავეს. 29 მაისს უმაღლეს და პირველლიგელთა საპლეიოფო მატჩებია, კვირას კი მართლაც სეზონის მთავარი, ოქროს მატჩი „სიონი“ — „ვიტ ჯორჯიაა“. სწორედ ამ საკვირაო შეხვედრას მიეძღვნა გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელზეც ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელები უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ „ეროვნულის“ საპრესკონფერენციო დარბაზში მისულთ ოდენ ვიტჯორჯიელი მერაბ კოჟლაშვილი შეგვრჩა. პროფლიგის პრესსამსახურის უფროსმა პაატა ბურჯალიანმა მომხდარი ასე ახსნა:

— ბოლნისელთა მთავარ მწვრთნელთან თემურ მახარაძესთან შეთანხმებული ვიყავით, რომ გავმართავდით ერთობლივ მატჩისწინა პრესკონფერენციას. როგორც ჩანს, მახარაძემ ასეთ დღედ შაბათი იგულისხმა, ჩვენ კი, პრესის ინტერესებიდან გამომდინარე, პრესკონფერენცია პარასკევს გადმოვიტანეთ. ეს ყოველივე ტექნიკურ გაუგებრობად ჩავთვალოთ.

ჩემი შენ გითხარიო
დრო, ჩემპიონები გავხდეთ



გადრი ჯეიდლაძის ფოტოები

გუშინ „ვიტ ჯორჯიამ“ იქ ივარჯიშა, სადაც ხვალ შეიძლება ჩემპიონი გახდეს...
ლაშა ნოზაძე, მერაბ კოჟლაშვილი, გიორგი ადამია და კლუბის პრეზიდენტი გურამ რუხაძე

იმ კვირაში

მაურინიუ ჩელსის აიღებს

ჟოზე მაურინიუ ახლა უკვე მზადაა ლონდონს ჩაფრინდეს და „ჩელსისთან“ მოლაპარაკებებს შეუდგეს. მისი გაწვრთნილი „პორტუს“ მიერ მოპოვებული ჩემპიონთა თასი ჯერ ხეირიანად გაციებულიც არ იყო, რომ ახლა ევროპის ყველაზე მოდურმა მწვრთნელმა ოფიციალურად დაადასტურა, „ჩელსისგან“ შემოთავაზება მაქვსო.

მედიის ცნობით, მაურინიუს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, თუმცა, „ჩელსის“ ჯერ არ გამოუცხადებია კლაუდიო რანიერის დათხოვნა.

თავად მაურინიუმ კი თქვა: „მომწონს ეს მიპატიჟება. ამ რამდენიმე დღეში გადავწყვეტ, მერე კი „პორტუ“ და „ჩელსიმ“ უნდა მოილაპარაკონ.“

ამბობენ, რომ მაურინიუს ერთი სული აქვს, პორტოდან წავიდეს, რადგან გულშემატკივართა ერთი ნაწილი მას მოღალატედ თვლის და მწვრთნელს სურს დროზე გაერიდოს უსიამოვნების შესაძლო ტალღას.

მაურინიუმ ეგებ ტელეკომენტატორადაც წაიმუშაოს ევრო-2004-ზე.

ყველა კი ამბობს, ჟოზე „ჩელსიში“ მიდისო, მაგრამ აშკარაა, რომ პორტუგალიელის ხალხი „ლივერპულსაც“ ელაპარაკებოდა.

„აგენტს რამდენიმე საუბარი ჰქონდა — განმარტავს მაურინიუ — მე კი ერთი მოკლე ლაპარაკი ერთ კლუბთან. ვისაც სიტყვა ვუთხარი, იმასთან ვიმუშავებ. „პორტუს“ უფროსობა, ალბათ, გაგებით მოეკიდება ჩემს სურვილს“.

მაურინიუმ „პორტუ“ აქცია გუნდად, რომელმაც ზედიზედ მოიპოვა უეფას და ჩემპიონთა თასები. ასეთი რამ მანამდე მხოლოდ „ლივერპულს“ მოეხერხებინა 1976-77 წლებში.

კლაუდიო რანიერი კი ჯერჯერობით კვლავაც გუნდშია. ის და მისი აგენტი ვიჩენცო მორაბიტო მილანის ერთ-ერთ სასტუმროში შეხვედრიან რომან აბრამოვიჩსა და შეფ პიტერ კინიონს. შეხვედრა ორ საათს გაგრძელებულა და გაცინებულ რანიერის უკომენტაროდ დაუტოვებია იქაურობა.

ვარაუდობენ, რომ რანიერის „ჩელსის“ საფეხბურთო დირექტორის თანამდებობას შესთავაზებენ. როგორც კინიონმა თქვა: „ყველაფერი იმ კვირაში გაირკვევა“.

ძველი ამბავი ახლებურად

ჯაჯელო იუვენტუსში მეორედ გადავიდა

ფაბიო კაპელო „იუვენტუსის“ მწვრთნელია. ეს ამბავი გუშინ ტურინული კლუბის წარმომადგენელმა გაავრცელა. კაპელომ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსი“ ამ სეზონში მესამე ადგილზე გავიდა და მარჩელო ლიპიმ გუნდი თავისი სურვილით დატოვა.

„ბებერი ქალბატონის“ თავკაცად დიდიე დეშანს და ჩეზარე პრანდელის მოიაზრებდნენ, მაგრამ ყველაფერი უცბად მოხდა — კაპელო ტურინში აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ფაბიო კაპელო 1970 წელს „რომაში“ თამაშობდა და კიდევ ორ რომაელთან ერთად „იუვენტუსში“ გადავიდა. ისტორია თითქმის მეორდება. ამჯერად მწვრთნელი ფრანგ მცველ ჯონათან ძებინასთან ერთად გადაბარგდა ტურინში. გამორიცხული არაა, მათ ბრაზილიელი ემერსონიც მიჰყვეს.

თუ გავიხსენებთ, რომ ვალტერ სამუელი უკვე მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელია და ფრანჩესკო ტოტისაც თვალი გასაქცევად უჭირავს, ფრანკო სენსის მომავალი სეზონისთვის „რომას“ ახლიდან შექმნა მოუწევს. კაპელოს წასვლის ამბავი რომ შეიტყვეს, რომაელმა ფანებმა კლუბის საწვრთნელ ცენტრს პროტესტის ნიშნად მიაკითხეს. დედაქალაქის ერთ-ერთ რადიოარხზე კი კაპელოს მავანმა ტიფოზმა მოღალატე უწოდა.

ხოლო იუვენტუსელი მაურო კამორანეზი ახალ მწვრთნელს დიდი სიხარულით ხვდება: „ძალიან კარგია, რომ კაპელო ჩვენი მწვრთნელი იქნება. იმავდროულად ეს ცუდი ამბავია რომაელებისთვის. ლიპის წასვლის შემდეგ „ბებერ ქალბატონს“ წარმატებული თავკაცი სჭირდებოდა. კაპელოს ბევრი ჯილდო მოუგია და ვიმედოვნებ, „იუვეს“ გამარჯვების გზაზე დააბრუნებს“.

„სიმართლე თუ გინდათ, ცხოვრებაში ამ ცნობაზე მეტად არაფერი გამკვირვებია. ეს ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის“ — თქვა „რომას“ ფრანგმა ვინსენ კანდელამ.

ფაბიო კაპელოს ტურინელ გუნდში ანტონიო კონტე არ დახვდება. „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა კონტრაქტის გაგრძელება იუარა. „ბევრი ჯილდო მოვიგე აქ. ახლა მომავალი თაობის დრო მოდის. შემოთავაზებული კონტრაქტის პირობაც არ მომეწონა და მირჩევნია, თამაშს შევეშვა. მსურს, მწვრთნელი გავხდე, ჯერჯერობით კი აქ დავრჩები და კლუბში ვიმუშავებ“.

„იუვენტუსის“ ახალ მწვრთნელს სავარაუდოდ, დავიდ ტრეზეგეც დააკლდება. ფრანგი თავდამსხმელი ტურინელებზე ნაწყენია. „მე ჩემი ერთგულება დავამტკიცე, მათ კი არ შეასრულეს, რასაც შემპირდნენ“ — დაიჩივლა ფორვარდმა. საქმე ისაა, რომ ფრანგს ჯამაგირის მომატება აღუთქვეს, თუმც ვითარება შეიცვალა და მარკ იულიანოსთან ერთად გაყიდვას უპირებენ. ტრეზეგეს კონტრაქტი 2005-ში ეწურება და „იუვემ“ ახლა თუ არ გაასხვისა, გაისად ფრანგი მუქთად „გაუფრინდება“.

ტურინული ამბები კი იმით დავასრულოთ, რომ როცა კლუბში კაპელოს კონტრაქტს ზეიმობდნენ, „იუვენტუსის“ მთავარი აქციონერის და საპატიო პრეზიდენტის, უმბერტო ანიელის სიკვდილი შეიტყვეს. 69 წლის ანიელიმ „ფიატის“ კონცერნი უფროსი ძმის, ჯანის გარდაცვალების შემდეგ ჩაიბარა.

ვაჟა ხუციშვილი

მიდლსბრომ ბარსელონას სიტყვა გაუცვალა

კეიტ ლამბი კლუივერტს ეძებს

„მიდლსბრო“ „ბარსელონიდან“ გამოვებული პატრიკ კლუივერტის შეძენას ლამობს. სტივ მაკლარენის გუნდმა ინგლისის ლიგის თასი მოიგო და მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს. ამიტომ მწვრთნელი გუნდის გაძლიერებას აქედანვე ცდილობს.

„მიდლსბროს“ აღმასრულებელმა დირექტორმა კეიტ ლამბმა დაადასტურა, რომ ისინი „ბარსელონას“ დაუკავშირდნენ. „ჯერჯერობით მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვა გავცვალეთ. სტივ მაკლარენს ჰოლანდიელი ფორვარდი ძალიან მოსწონს და თანახმაა, იგი „მიდლსბროში“ იხილოს. საქმეს ევროპის ჩემპიონატი ართულებს, რადგან კლუივერტი ნაკრებში ემზადება და მასთან სასაუბროდ ჯერ ვერ მოვიცალეთ, მაგრამ რაკი დავიწყეთ, ვეცდებით, რომ ფორვარდი „რივერსაიდზე“ გადმოვიყვანოთ.“

პაპამ სტადიონი გააჩერა

ვენგერმა მილანს 15 მილიონი ესროლა

არსენ ვენგერს „მილანიდან“ კაკას გადაყვანა სურს. „მეთოფეთა“ ფრანგმა თავკაცმა ადრე განაცხადა, რომ ამ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების შეძენას არ აპირებდა, რადგან „არსენალი“ სტადიონს აშენებს და კლუბის ფინანსები მშენებლობას ხმარდება.

მიუხედავად ამისა, ვენგერს უეცრად კაკა მოუნდა, საქმე ისაა, რომ „არსენალს“ ჩემპიონობამ დამატებითი ინვესტიცია მოუტანა. ლონდონურ კლუბს შეუძლია, სტადიონისთვის გამოყოფილი თანხიდან ბრაზილიელის სანაცვლოდ საჭირო ფულის ნაწილი ახლავე გადაიხადოს.

22 წლის კაკა, ვენგერის აზრით, 15 მილიონ ევროდ ფასობს და „არსენალი“ მზადაა, „მილანს“ ამის თაობაზე ევაჭროს.

ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი ინგლისი, შვეიცარია, ხორვატია

ლურჯი მამლის ყვინჩილობა

ფიასკო მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი წლის წინ იყო. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა და საფრანგეთის ნაკრები ისევ მზადაა ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლოს, ოლონდ ამჯერად ევროპის ჩემპიონობის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი

ორი წლის წინ ფრანგებს მართლა კოშმარი გადახდათ, თუმცა მას მერე 22 შეხვედრა გამართეს და მათგან 17 მოიგეს. დარჩენილი ხუთიდან ოთხი ფრე იყო, ერთი — წაგება. გოლების ბალანსი 57:8. ერთი სიტყვით, გამოსწორდნენ.

ფრანგებმა ევრო 2004-ის შესარჩევი ბრწყინვალედ ჩაატარეს. შემდეგ ამხანაგურ შეხვედრებზე გადაერთნენ და იქ დაიწყეს „დასამთავრებელი სირთულეების რემონტი". კენჭისყრამ ერთობ რთული, B ჯგუფი არგუნათ. ამ ჯგუფში მათ გარდა მოხვდნენ ინგლისი, შვეიცარია და ხორვატია. ევროპის ჩემპიონატის პირველ თამაშს ფრანგები 12 ივნისს ინგლისთან გამართავენ.

მწვრთნელი, ჟაკ სანტინი ამბობს: „ინგლისელებთან თამაში დერბივით არის, რადგან ჩვენი ნაკრების ბევრი ფეხბურთელი მათ პრემიერლიგაში გამოდის".

„გვიხარია და იმავდროულად ვწუხვართ, ვინაიდან ინგლისის დონის გუნდთან თამაშით დაწყება, ძალიან ძნელია" — დასძენს საფრანგეთის ნაკრების და ლონდონის „არსენალის" ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა.

ევროპის ჩემპიონებმა გახურება ნოემბრიდან დაიწყეს. ჯერ იყო და, გერმანიას მოუგეს გელზენკირხენში 3:0, შემდეგ, თებერვალში, ბელგიას აჯობეს 2:0 და დაიტრაბახეს, რომ ზედიზედ 14 მატჩში გაიმარჯვეს, მაგრამ ახალ წელიწადს, კერძოდ კი მარტში, როტერდამში ჰოლანდიელებთან 0:0-ზე მეტი ვერ შეძლეს და საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ იმ დღეს უფანტაზიოდ ითამაშეს.

0:0 დასრულდა აგრეთვე ფიფას ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებული მატჩი მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიასთან.

„ამ თამაშის მიხედვით, არც გაბედნიერებულვართ და არც თავბედი გვიწყევლია — ამბობდა შემდეგ სანტინი — ადრეც ვამბობდი, რომ ეს მატჩი ჩვენი მოსამზადებელი პროცესის გადამწყვეტ ეტაპად არ მიმაჩნდა".

და რაც მწვრთნელი სანტინია, ფრანგებს მხოლოდ ერთი თამაში აქვთ წაგებული. ეს იყო 2003 წლის თებერვალში „სტად დე ფრანსზე", როდესაც „ლურჯებს" ჩეხებმა 2:0 აჯობეს.

რაც შეეხება შესარჩევ ციკლს, აქ ფრანგებს მუხლი არ აჰკანკალებიათ. მართალია, იღბალმაც ანგარიში გაუწიათ და ჯგუფში საკმაოდ სუსტი გუნდები, მალტა, კვიპროსი, ისრაელი და სლოვენია შეხვდათ, მაგრამ მათ ერთიმეორეს მიყოლებით წაქცევას და საკუთარი თავის რწმენის აღდგენას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა.

თავიდან კვიპროსზე „მამლებმა" 2:1 მოიგეს, რაც საყოველთაოდ მოკრძალებულ შედეგად ჩაუთვალეს, მაგრამ შემდეგ, როდესაც სანტინის ბიჭები მოდგნენ და მალტელებს 4:0 და 6:0 მოუგეს, ხოლო იმავ კვიპროსს პარიზში 5:0 სძლიეს, ყველანი დაწყნარდნენ.

ევრო 2004-ის საგზური კი ფრანგებმა ლუბლიანაში სლოვენიასთან 2:0 გამარჯვებით დაიბევეს. ახლა თავად გუნდზე: ერთი შეხედვით, როჟე ლემერის ნაკრებთან შედარებით სანტინის ბევრი არაფერი შეუცვლია. თავდასხმაში კვლავ ტიერი ანრის და დავიდ ტრეზეგეს წყვილია, ბევრი სხვა ნიუანსიც ძველებურადაა, მაგრამ საკუთარი თავის რწმენა და საქმისადმი მიდგომა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სხვაა, ვიდრე ყოვლად მკვდარ მუნდიალზე იყო.

აი, მაგალითად, ზემოთ სლოვენიასთან თამაში რომ ვახსენეთ, იმ თამაშში თერთმეტიდან ცხრა ფეხბურთელი იგივე იყო 2002-ში დანიასთან 0:2 წაგებულ შეხვედრაში რომ წვალობდა.

და კიდევ ასე ამბობენ: ბოლო ორ წელიწადში „ლურჯებმა" ზინედინ ზიდანის არყოფნაში მოგება ისწავლესო. სტატისტიკა მეტყველებს, რომ სანტინის ხელში ჩატარებული ოცდაორი მატჩიდან რვაში ზიდანი არ მონაწილეობდა, ჰოდა, ამ რვიდან ფრანგებმა შვიდი მოიგეს და ოცი გოლიც გაიტანეს.

მერე, რა?

განრიგი

13 ივნისი
ლისაბონი. „ლუზი". 23.45
საფრანგეთი – ინგლისი

17 ივნისი
ლეირია, „მაგალიაეში". 23.45
ხორვატია – საფრანგეთი

21 ივნისი
კოიმბრა.
„სიდადე დე კოიმბრა". 23.45
შვეიცარია – საფრანგეთი

მეკარეები

ფაბიენ ბარტეზი ---------- ოლიმპიკი, მარსელი
გრეგორი კუპე ----------- ლიონი
მიკაელ ლანდრო ---------- ნანტი

მცველები

ლილიან ტურამი -------- იუვენტუსი, იტალია
მარსელ დესაი ----------- ჩელსი, ინგლისი
მიკაელ სილვესტრი ----- მანჩესტერ იუნ, ინგლისი
ბიქსენტ ლიზარაზუ ---- ბაიერნი, გერმანია
ვილი სანიოლი ----------------------- ბაიერნი, გერმანია
ჟან-ალენ ბუმსონგი ------------------ ოსერი
უილიამ გალასი ---------------------- ჩელსი, ინგლისი

ნახევარმცველები

პატრიკ ვიეირა ---------- არსენალი, ინგლისი
ოლივიე დაკური --------- რომა, იტალია
კლოდ მაკელელე -------- ჩელსი, ინგლისი
რობერ პირესი ----------- არსენალი, ინგლისი
ზინედინ ზიდანი ---------------------- რეალი, ესპანეთი
ბენუა პედრეტი ---------------------- სოშო
ჟერომ როტენი ----------------------- მონაკო
სილვენ ვილტორდი ------------------ არსენალი, ინგლისი

თავდამსხმელები

ტიერი ანრი ------------- არსენალი, ინგლისი
დავიდ ტრეზეგე --------- იუვენტუსი, იტალია
ლუი საჰა ---------------- მანჩესტერ იუნ, ინგლისი
სტივ მარლე ------------ ოლიმპიკი, მარსელი
სიდნეი გოვუ ------------------------- ლიონი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

გზა პორტუგალიისკენ

I შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002 ------------- კვიპროსი 1:2 საფრანგეთი
12.10.2002 ------------- საფრანგეთი 5:0 სლოვენია
16.10.2002 ------------- მალტა 0:4 საფრანგეთი
29.03.2003 ------------- საფრანგეთი 6:0 მალტა
02.04.2003 ------------- ისრაელი 1:2 საფრანგეთი
06.09.2003 ------------- საფრანგეთი 5:0 კვიპროსი
10.09.2003 ------------- სლოვენია 0:2 საფრანგეთი
11.10.2003 ------------- საფრანგეთი 3:0 ისრაელი

საბოლოო ცხრილი

საფრანგეთი	8	8	0	0	29:2	24
სლოვენია	8	4	2	2	15:12	14
ისრაელი	8	2	3	3	9:11	9
კვიპროსი	8	2	2	4	9:18	8
მალტა	8	0	1	7	5:24	1

გუშინდელი ამბავი: ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიღებული ტრავმა ლუდოვიკ ჟიულის ძვირად დაუჯდა – იგი ევროპის ჩემპიონატზე ვერ წავა. ჟიულის ნაცვლად ჟაკ სანტინიმ განაცხადში ლიონელი სიდნეი გოვუ შეიყვანა

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი, საფრანგეთი — იტალია. დავიდ ტრეზეგეს ოქროს გოლი

ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი ინგლისი, შვეიცარია, სლოვენია

სანტინიმ გრძნობა დაკარგა

მას მერე, რაც ემე ჟაკემ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა, ფრანგულ გაზეთებს მწვრთნელის ნიმუში, ეტალონი გაუჩნდათ და უკლებლივ ყველა საფეხბურთო მოღვაწეს მას ადარებენ. ჟაკეს ადარებდნენ აბსოლუტურად და ყოველმხრივ განსხვავებულ ჟაკ სანტინისაც.

თუმცა არის საერთოც. მაგალითად, პრესისადმი დამოკიდებულება თუ მასთან გაბუტვა სანტინისაც ზუსტად ისევე ეხერხება, როგორც ჟაკეს და როჟე ლემერს, ჟაკეს შემცვლელსა და სანტინის წინამორბედს. საერთოა ფეხბურთელებიც: ევრო 2004-ის ფინალში ლურჯი ნაკრები ზუსტად იმავე ფეხბურთელებმა გაიყვანეს, რომელთაც 1998 წლის მუნდიალსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე მიაღწიეს წარმატებებს. იქ, პორტუგალიაშიც ჟაკესა და ლემერის ყოფილი შეგირდები, ზინედინ ზიდანი, მარსელ დესაი, პატრიკ ვიეირა, ფაბიენ ბარტეზი, ტიერი ანრი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ლილიან ტურამი და დავიდ ტრეზეგე ითამაშებენ.

თუმცა, ლემერისგან განსხვავებით, სანტინიმ ფრანგთა ეროვნულ გუნდს ერთი ფეხბურთელი იმთავითვე დაამატა — „სოშოს“ ნახევარმცველი ბენუა ჰედრეტი.

საერთოდ კი აი, როგორ იყო: ლემერმა ორი წლის წინ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ჟაკეს გუნდის ზუსტი ასლი წაიყვანა, სანტინიმ კი, დანიშნეს თუ არა მწვრთნელად, ტაქტიკურ ვარიანტებთანაც გაბედა თამაში. ერთი სიტყვით, დღევანდელი საფრანგეთი თითქოს უფრო მრავალმხრივია.

ამ მრავალმხრივობის ერთ-ერთ ნიმუშად და ჟაკ სანტინის უდიდეს მიღწევად იმას თვლიან, რომ „ლურჯებმა“ დიდი ზინედინ ზიდანის გარეშე თამაში და მოგება ისწავლეს. როგორც ჩანს, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ფრანგთა საშინელი ჩავარდნა მნიშვნელოვანწილად ზიდანის ტრავმას და ორი თამაშის გამოტოვებას დაბრალდა. ამასთან, როჟე ლემერს დაბრალდა ის, რომ ივი ტაქტიკური ვერსიების დამუშავების მაგივრად ზიდანის შემცვლელის თავშივე განწირულმა ძებნამ გაიტაცა.

ფეხბურთელობისას ჟაკ სანტინი „სენტ ეტიენში“ თამაშობდა, მწვრთნელად ბოლოს „ლიონში“ მუშაობდა. „ვგრძნობ, რომ ჩვენ ისევ ძველებურად ვთამაშობთ, ეს კი სწორედ ის გრძნობაა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რომ გვაკლდა“ — თქვა ზინედინ ზიდანმა და ცხადია, დაკარგული გრძნობის დაბრუნება სანტინის დაუკავშირა.

ანრი მიჰქრის, ზიდანი მიჰყვება

ერთხელ რომ მოკურცხლა მეტოქის კარისკენ დამაბრმავებელი სისწრაფით, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ტიერი ანრი, იმავე სისწრაფით მიექანება ევრო 2004-ის სარბიელისკენ, რათა თავისი დიდი სახელი კიდევ ერთხელ განიმტკიცოს. ცოდვა გამხელილი სჯობს და ანრი, ბევრის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელიც კია.

არადა, გახსოვთ, ერთიხანობა „იუვენტუსმა“ რომ იყიდა და ვერ აათამაშა? რა ოხრობა იყო ვინ იცის, მაგრამ ფაქტია, ანრი ტურინში მოწყენილი იჯდა, შემდეგ კი ლონდონის „არსენალმა“ იყიდა და იქ თანამემამულე მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა გახსნა. სხვათა შორის, პირველი, რაც ვენგერმა ლონდონში გააკეთა, ანრის მარცხნიდან შუაში შეწევა გახლდათ.

დღეს ანრი 26 წლისაა, უსწრაფესია, დრიბლიორია და ზუსტი, მრავალმხრივი, უემოციო დარტყმები გამოსდის.

საერთოდ, ტიერი ანრის ფეხბურთი ისეთია, რომ თავისი გუნდის შეტევის სტილს უნდა ერწყმოდეს. ის მხოლოდ მეგოლე კი არ არის, შეტევის ნებისმიერი ფორმის და ვარიანტის ნაწილია.

ანრი პარიზის გარეუბანშია დაბადებული. როგორც ფეხბურთელი 13 წლისა შეამჩნიეს და მას მერე ყურადღების ცენტრშია. საინტერესოა, რომ პირველი პროფესიული კონტრაქტი ანრიმ „მონაკოსთან“ გააფორმა, „მონაკოს“ კი მაშინ სწორედ ვენგერი ედგა სათავეში. დებიუტი ვენგერმა ჭაბუკ ფორვარდს კონტრაქტის გაფორმებიდან ორ კვირაში, მეჩვიდმეტე დაბადების დღეზე უძღვნა.

ანრის საფეხბურთო სამყაროში გამოჩენა 1997-98 წლების სეზონში „მონაკომ“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლით აღნიშნა, ორი თვის შემდეგ კი მთელი მსოფლიოს ქომაგებმა იხილეს, როგორ გახდა ის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი.

1999-ში ანრი „იუვეში“ გადავიდა და, როგორც მოგახსენეთ, საქმეები კარგად ვერ წაუვიდა. რამდენიმე თვის შემდეგ კი ვენგერს დაუბრუნდა, ოღონდ უკვე ლონდონში.

ევრო 2000 საფრანგეთმა მოიგო, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ანრიმ მხოლოდ ერთი თამაში და 25 წუთი ითამაშა. მერე გააძევეს.

დღეს ტიერი ანრი ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი გოლის ავტორია, ოღონდ ევროთასებზე. მან ჟან-პიერ პაპენის 38-გოლიანი რეკორდი მოხსნა.

ის გახლავთ ინგლისის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, ინგლისის ლიგის და ფეხბურთის ასოციაციის თასების მფლობელი, ინგლისის ჩემპიონი, ფანების საყვარელი ვარსკვლავი, მეტისმეტად მშვიდი პირადი ცხოვრების მქონე მოქალაქე.

საფრანგეთი 2002 წელს იმიტომ დამარცხდა, რომ ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ზინედინ ზიდენმა ფეხი იტკინა. მოდი და თქვი, ასე არ არისო. ვერავინ დაამტკიცებს საპირისპიროს.

ახლა, ევროპის ჩემპიონატზე, პორტუგალიაში, ზიდანი იქნება და თუ წარმატებამაც არ დაახანა, მელოტი ვარსკვლავის უკვდავად შერაცხვა მერე ნახეთ: 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტული, 2000 წელს ევროპის ჩემპიონატის ტიტული, 2002 წელს ჩემპიონთა თასი... მოკლედ, ზიდანს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ყველა დროის საუკეთესოა.

დიდმა გამთამაშებელმა მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტი 2007 წლამდე გაახანგრძლივა, თუმცა საფრანგეთის ნაკრებთან დაკავშირებით წლებს ასე თამამად ვეღარ ახსენებს. რა იქნება პორტუგალიის შემდეგ? თუმცა რა დროს ეგ არის, რა იქნება პორტუგალიაში?

თუ ზიზუ დიდებულად ითამაშებს და წლეულს მეორე „ოქროს ბურთს“ გამოჰკრავს ხელს, კიდევ ერთი მაჩვენებელით აიჭრება ვარსკვლავეთში. „ოქროს ბურთი“ სამჯერ მიშელ პლატინის, იოჰან კრუიფს და მარკო ვან ბასტენს აქვთ მოპოვებული და ამათ შორის უნიკალური პლატინია, რომელმაც ეს ზიდიზედ შეძლო.

„ის ბურთზე ბატონობს — აღფრთოვანებულია თვით ალფრედო დი სტეფანო, „რეალის“ და მსოფლიოს გმირთაგმირი — ის მოარული სპექტაკლია, ისე თამაშობს თითქოს ფეხებზე ხელთათმანები აცვია. რაღაცით ჩემს თავსაც მაგონებს, თუმც მე ოდნავ უფრო სწრაფი ვიყავი. ის რომ არსებობს, სტადიონზე სიარული უკვე ღირს. ვინც კი ოდესმე მინახავს, ერთ-ერთი საუკეთესოა“.

აი, ასეთმა ნიჭმა ამოიყვანა მარსელის გარეუბან ლა კასტელანიდან ერთი უბრალო გაფრანგებული ალჟირელი ბიჭი და გაჭირვებული ცხოვრების ნანგრევებიდან მსოფლიოს მწვერვალზე ატყორცნა.

მწვერვალი? იცით, რომ „ჟურნალ დუ დიმანშმა“ ყველა დროის ყველაზე პოპულარულ ფრანგად დაასახელა?

ზიდენმა სანაკრებო კარიერა 10 წლის წინ დაიწყო, როდესაც საფრანგეთი ჩეზეთს 2:2 ეთამაშა და ორივე გოლი მან შეაგდო. შემდეგ იყო ევრო 96, სადაც ზიზუ ქანცგაწყვეტილი ჩავიდა, თუმცა მაშინ ემე ჟაკეს საფრანგეთი დასახული პროგრამის მხოლოდ შუაში ბრძანდებოდა და მეტს, ალბათ, თავად არც ელოდა საკუთარი თავისგან.

რა იყო 1998 და 2000 წლებში, ამას ნუღა გავიმეორებთ, 2002 ზიდანისთვის არ იყო, ხოლო 2004...

ფრანგი, რომელიც პლატინის ეტოლება

იცით, რომ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში დავიდ ტრეზეგეს ტიერი ანრიზე მეტი გოლი აქვს გატანილი? მერედა, ის „იუვენტუსში“ თამაშობს (ბოდიში „არსენალთან“) და მაინც, ტრეზეგე ანრის ჩრდილშია.

მაშ ასე, საუბარია კაცზე, რომელმაც ოთხი წლის წინ, როტერდამში, იტალიელებს „ოქროს გოლი“ გაუტანა და თავის ქვეყანას ევროპის ჩემპიონობა მოუპოვა. ლაპარაკია თავდამსხმელზე, რომელმაც 49-ჯერ ჩაიცვა ლურჯი მაისურა და 28 გოლი შეაგდო. მას და ანრის ერთად მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დაცვა უნდა უფრთხოდეს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ შარშან ნოემბერში თვით გერმანიის ნაკრებს სწორედ ამ წყვილმა გაუტანა სამი გოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ წყვილი მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაფლავების შემდეგაც მოქმედებს.

პელეს, რომელსაც მოგეხსენებათ, ათას რაღაცას ეკითხებიან, ერთი თვის წინ ძლიერთა შორის უძლიერესები დაასახელებინეს და მანაც, რამდენადაც „ფეხბურთის მეფეს“ დაეჯერება, განაცხადა, რომ დღეს მსოფლიოში ორი გამორჩეული წყვილია, ევროპაში ზინედინ ზიდანი და ტრეზეგე, ხოლო სამხრეთ ამერიკაში რობერტო კარლოსი და რონალდო.

და მაინც, ასეთი რეკორდების და ქება-დიდების მიუხედავად „ტრეზეგოლი“ ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ახლა, ჟაკ სანტინის ხელში დამკვიდრდა, თუმცა დრო არ დაუკარგავს: ზემოხსენებული ანრის მხარდაჭერით — სხვათა შორის, ტრეზეგე და ანრი ოდესღაც „მონაკოში“ ერთად იწყებდნენ კარიერას — ტრეზეგე დიდი მიშელ პლატინის სრულიად ფრანგულ რეკორდს, 41 სანაკრებო გოლს ეზომება და საამისოდ დროც აქვს, ტრეზეგე 26 წლისაა.

დავიდ ტრეზეგემ კარიერა მამის სამშობლოში, არგენტინაში, კერძოდ „პლატენსეში“ დაიწყო, საიდანაც 1995 წელს „მონაკოში“ გადაბარგდა, ხოლო 2000-ში „იუვენტუსში“.

„ცხადია, მეც და ტიტიც (ანრიზეა ლაპარაკი) ვოცნებობთ პლატინის რეკორდის დამხობაზე, მაგრამ მანამდე მართლაც შორია“ — ამბობს საფრანგეთის და იტალიის ორორ გზის საუკეთესო ფეხბურთელი.

„მე მარტო ბომბარდირი კი არ ვარ, ვცდილობ, მეგობარს გოლებიც გავატანინო. ზუსტად ვიცი, როგორი გოლების გატანა ეხერხება“ — ამას კი ანრი ბრძანებს.

ხოლო დანარჩენს პორტუგალიაში ვნახავთ.

დავიდ ტრეზეგე

ამხანაგური მატჩები

მალტა ბერლინის კედელივით დაშალეს ნოვოტნის პირველი სანაკრებო

მიხაელ ბალაკმა მალტელებს არც თავი დააკლო და არც ფეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია 7:0 მალტა

1:0, 2:0 ბალაკი (15, 17), 3:0 ნოვოტნი (33), 4:0 ფრინგსი (42), 5:0, 6:0 ბალაკი (59, 86), 7:0 ბობიჩი (90)

გერმანია: ლემანი, ჰინკელი (ფრაიერი 46; კელი 62), ფრიდრიხი, ნოვოტნი, ლამი (ციგე 69), შნაიდერი, ჰამანი (იერემისი 69), ფრინგსი, ბალაკი, ბობიჩი, კურანი (კლოზე 46)

მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

გაძევება: მ. მუსკატი (78, მალტა)

მსაჯი: ანტონ სტრედაკი (სლოვაკეთი)

რუმინეთთან მარცხის შემდეგ გერმანიამ მალტაზე ჯავრი იყარა. მიხაელ ბალაკმა ჰოკერი შეასრულა და მისდამი კრიტიკაც ოდნავ შერბილდა. „შვიდი გოლი, თუნდაც სუსტი მეტოქის კარში, ძალიან მნიშვნელოვანია“ — თქვა „ბაიერნის“ ნახევარმცველმა. „ასეთი მატჩები აუცილებელია გუნების გამოსაკეთებლად“ — აღნიშნა რუდი ფიოლერმა.

მალტელები მატჩის ბოლო 12 წუთი კაცნაკლულნი დარჩნენ, რადგან მეკარე მარიო მუსკატმა საჯარიმოს გარეთ მიროსლავ კლოზე წააქცია.

ბალაკმა ცაციით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ფილიპ ლამის პასს საგოლე თავური შეაგება.

იენს ნოვოტნიმ პირველი სანაკრებო გოლი შეავდო და ამას მუსკატის შეცდომას უნდა უმადლოდეს.

„ამჯერად ბალაკზე აუგს ვერ ვიტყვით. რასაც ის აკეთებს, შესანიშნავია“ — თქვა გიუნტერ ნეტცერმა მატჩის კომენტარისას.

„ბაიერნის“ ახალმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კი იმედი გამოთქვა, რომ კლუბი ბალაკს არ გაყიდის. გუნდის აწყობას მასზე ვაპირებო. ფრანც ბეკენბაუერმა თავის მხრივ განაცხადა: „ნორმალურმა კლუბმა ასეთი ფეხბურთელი არ უნდა დათმოს“.

გერმანიის ნაკრებს ევრო 2004-მდე კიდევ ორი ამხანაგური მატჩი ელის. 2 ივნისს შვეიცარიასთან ბაზელში და 6 ივნისს უნგრეთთან კაიზერსლაუტერნში.

ის დაბრუნდა!

როი ჯინი ჯვლავ გამწვანდა

როი კინი ისევ ირლანდიის ყოჩია

ირლანდია 1:0 რუმინეთი

1:0 ჰოლანდი (85)

ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენილი ირლანდია და რუმინეთი დუბლინში ამხანაგურად შეხვდნენ. ერთი თვის წინ გერმანელთა მძლეველი რუმინელები მასპინძლებს ტოლ-სწორად ეთამაშნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს მეტ ჰოლანდმა სტელიას მაინც გაუტანა.

ორწლიანი განშორების შემდეგ ირლანდიელთა შემადგენლობაში როი კინი გამოჩნდა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა 59-ედ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა და მეორე ტაიმში ერთი საგოლე მომენტიც ჰქონდა. მის დარტყმულს ბოგდან სტელია ყოჩაღად დაუხვდა.

„ის დაბრუნდა!“ ასეთი სათაურები სჭარბობდა ირლანდიურ გაზეთებში. როი კინს 42 ათასი ქომაგი ფეხზე დაუდგა და ტაში არ დაამადლა.

ნაკრების მწვრთნელი ბრაიან კერიც, ცხადია, ხარობდა: „თავისი თამაშით გაგვაბედნიერა და აჩვენა, თუ რატომ გვსურდა მისი დაბრუნება. დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილების მიღება როისთვის იოლი არ იქნებოდა, მაგრამ მან ეს ნაკრებისთვის და ქვეყნისთვის გააკეთა. ვფიქრობ, თავადაც გაიხარა და 90 წუთის განმავლობაში გულიანად იშრომა“.

ფლეტჩერის სამკლავურიანი ოცნება

მაკფადენმა ესტონეთში გაისეირნა

ესტონეთი 0:1 შოტლანდია

0:1 მაკფადენი (76)

შოტლანდიამ ესტონეთი ჯეიმს მაკფადენის კოხტა გოლით დაამარცხა.

სკოტები პირველ ტაიმში მასპინძლებზე უკეთ თამაშობდნენ, თუმც სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ დაარტყეს. კოლდუელის თავურაკრული ბურთი ხარიხას ახლოს ჩაუფრინდა.

ესტონელები შესვენების შემდეგ გამოცოცხლდნენ და პოლ გალაჰერს საქმეც გაუჩინეს, თუმც სტუმართა მეკარე ყოჩაღობდა.

მაკფადენმა შეხვედრის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გაიბრწყინა — სამი მცველი მიმოფანტა და მარტინ კაალმას იოლად გაუტანა.

ესტონელთაგან ყველაზე ხელსაყრელი მომენტი კრისტენ ვიიკმაეს ჰქონდა, რომელიც გალაჰერთან პირისპირ ტერეხოვმა გაიყვანა, მაგრამ ფორვარდმა ბურთი მეკარესაც გადაავლო და კარის ჩარჩოსაც.

აღსანიშნავია, რომ ბერტი ფოგთსის გუნდში სამი ფეხბურთელის — ნაიჯელ ქვოშის, რიჩარდ ჰიუზის და დევიდ მაკნამის დებიუტი შედგა.

შოტლანდიელმა დარენ ფლეტჩერმა კი ნამატჩევს თქვა, ოცნება ახდა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ასოციაციის თასი მოვიგე, ესტონეთის ნაკრებთან კი შოტლანდიას ვუკაპიტნეო.

ჯეიმს მაკფადენმა მაინც მოახერხა და ესტონელებს გამარჯვებისა გაუტანა

გაგა ხუციშვილი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ნორვეგია 0:0 უელსი

ჰენინგ ბერგი ზღაპრიდან გაიცილეს

უელსი ჰარეიდეს გადაეღობა

უელსმა ოსლოში ნორვეგიის ექვსმატჩიანი წარმატებული სერია შეწყვიტა. აგე ჰარეიდეს თავკაცობით ვიკინგებმა აქამდე ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოიგეს, უელსელებთანაც ჰქონდათ გამარჯვების შანსი, მაგრამ ბლომად საგოლე მომენტები გაანიავეს.

მასპინძელთა მცველმა ჰენინგ ბერგმა ეროვნული გუნდის მაისურით მე-100 მატჩი გამართა. იგი მეთხუთმეტე წუთზე შეცვალეს და ბერგის სანაკრებო კარიერაც დასრულდა. „ასი მატჩი? ეს ხომ ზღაპარია, ქომაგთა პატივისცემა კი, გულის ამაჩუყებელი“ — თქვა ვეტერანმა მცველმა.

უელსელთა შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ტრავმამოშუშებული კრეიგ ბელამი, მაგრამ არ იყო რაიან გიგზი.

ნორვეგიელებს პირველი ტაიმის მიწურულს შეეძლოთ დაწინაურება. უმეთვალყურეოდ დარჩენილმა შატერნსმა ბურთი ხარიხას გადააცილა.

სტუმრებს მეორე ნახევრის დასაწყისში ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ. პოლ პერის დარტყმული კარის ხაზიდან იონ არნე რაისემ გამოაძვრინა.

მასპინძელმა მორტენ პედერსენმა ბურთი ძელს მოარტყა, ხოლო სოლსკიაერმა და პოსტენმაც თავის მხრივ ხელსაყრელი ეპიზოდები ვერ გამოიყენეს.

უელსელთა კაპიტანი მარკ დილანი ორჯერ უხეშად შეცდა. ჯერ პედერსენმა ვერ ისარგებლა შეცდომით, შემდეგ კი — შატერნსმა. სამაგიეროდ, უელსელმა დილანმა გუნდი მოგვიანებით გადაარჩინა. ტორე ანდრე ფლოს დარტყმულს გადაეფარა, ხოლო მერე კოინმა ფლოსვე აჯობა.

შეხვედრის მიწურულს საჯარიმოს ხაზიდან ანდერსენმა დაარტყა და ბურთი ხარიხას გადაავლო.

ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელი მარკ ჰიუზი კმაყოფილი იყო: „რამდენიმე მთავარი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ გუნდმა მაინც შესანიშნავად ითამაშა“.

ტრავმამოშუშებული კრეიგ ბელამი (ბურთით) უელსს დაუბრუნდა

მდიდარი კატორღელი

სინდისმა და ცხოვრების წესმა ვალდანოს რეალიდან წასვლა აიძულეს

მადრიდის „რეალს“ 11 ივნისიდან ახალი სპორტული დირექტორი ეყოლება — არგენტინელ ხორხე ვალდანოს მისივე მოადგილე ემილიო ბუტრაგენიო შეცვლის. ვალდანოს წასვლა სამეფო გუნდის თავკაცის, ფლორენტინო პერესის პირველი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას ემთხვევა. 11 ივნისს კასტილიური გრანდის უმაღლესი ჩინოვნიკი უფლებამოსილებას მოიხსნის, რათა ახალ საარჩევნო მარათონში ჩაებას. ვალდანო კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გატარებულ ოთხ სეზონს დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ ფლორენტინოსა და მისი თანაშემწეების დაუღალავი შრომა-გარჯით „რეალი“ იმ გუნდზე გაცილებით უკეთესი გახდა, ვიდრე პერესის მმართველობის გარიჟრაჟზე იყო. გთავაზობთ ინტერვიუს ხორხე ვალდანოსთან, რომელიც მადრიდის „რეალის“ საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა

— თქვენ განაცხადეთ, რომ ივნისში სამეფო კლუბის დირექტორი აღარ იქნები. რითი ახსნით ამ გადაწყვეტილებას?

— მინდოდა, ჩემი თანამდებობიდან წასვლა და პრეზიდენტ პერესის მმართველობის პირველი ეტაპის დასასრული ერთმანეთს დამთხვეოდა — მე კლუბში ფლორენტინოსთან ერთად მოვედი და ბუნებრივიც იქნება, თუ „ბერნაბეუს“ მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის მერე დავტოვებ. ამ ეტაპზე ჩემი საქციელი მართებულად მიმაჩნია. „რეალის“ ყოველ წევრს უდიდეს პატივს ვცემ, ჩვენ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ერთი ოჯახი ვიყავით, ამიტომაც გადავწყვიტე, გადადგომის შესახებ პირდაპირ და დაუფარავად განმეცხადებინა. არ მსურდა, კლუბიდან ჩემი წასვლის თაობაზე რაიმე უხერხული ჭორები აგორებულიყო.

— პრეზიდენტთან ერთად წასვლა ადრეც გქონდა განზრახული, თუ ამ ბოლო ხანს გადაწყვიტე?

— რამდენიმე დღის წინ მივხვდი, რომ ჯობდა, თანამდებობა არჩევნებამდე დამეტოვებინა. ფლორენტინოს, რომელსაც მომავალ თვეში ახალ საპრეზიდენტო „რბოლაში“ უწევს ჩაბმა, სხვადასხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მისაღებად ხელ-ფეხი გახსნილი ექნება.

— ესე იგი, „რეალთან“ ვალდანოს გამოთხოვება აქაურთათვის უმტკივნეულოდ ჩაივლის?

— ვფიქრობ, კლუბი ახლა საკმარისზე მეტად ძლიერია. 4 წელიწადი მე და ჩემმა მეგობრებმა კატორღელებივით თავაუღებლად ვიშრომეთ და მივაღწიეთ იმას, რომ დღევანდელი „რეალი“ ადრინდელზე შეუდარებლად ძლიერი გახდა. არც „რეალს“ და არც მე არაფერი დაგვიშავდება, დამსახურებულ შესვენებას თუ მოვითხოვ.

— „რეალში“ გატარებულ პერიოდს როგორ შეაფასებდით?

— უპირველეს ყოვლისა, ამ გუნდმა მე, როგორც პიროვნებას და პროფესიონალს, ფასდაუდებელი გამოცდილება შემძინა. აქედან გამომდინარე, „ბერნაბეუს“ ცხოვრებისეული ცოდნით უფრო გამდიდრებული ვტოვებ. „რეალში“ ჩემი ყოფნისას უამრავი რამ შეიცვალა. ვამაყობ, რომ ამ საერთო წარმატებაში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის. ოთხწლიანი გადასახედიდან უნდა შეფასდეს თანამედროვე „რეალი“ და არა ბოლოჟამინდელი ჩავარდნით.

— გუნდიდან წასვლა თქვენში რა გრძნობებს აღძრავს?

— რა თქმა უნდა, სევდა მოგეძალება, როდესაც შენთვის ძვირფას, შეჩვეულ ალაგს ტოვებ. გუნდს, რომლის დიდებისთვის თავი არასდროს დაგიზოგავს. ბედნიერი ვარ, რადგან „რეალისა“ და იმ ადამიანის ერთგული ვიყავი, ვინც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიმიხმო. დაკისრებული საქმეც მეტ-ნაკლებად ბოლომდე მივიყვანე. სამეფო გუნდთან, როგორც უკვე იცით, 11 ივნისამდე გავაგრძელებ თანამშრომლობას. ხოსე ანტონიო კამაჩოს ჩემს მეგობრად ვთვლი და არ მსურს, ვალდანოს გადადგომა მის მწვრთნელად დანიშვნას დაუკავშირონ — პირიქით, ძალიან მწყდება გული, „რეალის“ ახალ წარმატებებს კამაჩოსთან ერთად რომ ვერ შევქმნი.

— თქვენს გადაწყვეტილებაზე ამ სეზონში „რეალის“ წარუმატებლობამაც ხომ არ იმოქმედა?

— პასუხისმგებლობას არასდროს გავქცევივარ და ამას არც მომავალში ვაპირებ. სპორტული დირექტორის პოსტის დატოვებაც სწორედ ჩემმა სინდისმა და ცხოვრების წესმა მიკარნახა.

ფლორენტინო პერესის მარჯვენა ხელი ემილიო ბუტრაგენიო გახდება

ლიბერტადორესის თასი 2004

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

ონსე კალდასი (კოლუმბია) 1:0 სანტოსი (ბრაზილია) (1:1)

1:0 ვალენტიერა (71)

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი

გადადებული მატჩი

ალხესირასი 2:1 ხერესი

0:1 კანიტო (4), 1:1 ხოსე მარი (30), 2:1 ჩიკო (70)

ლევანტე	38	19	12	7	48:28	69
ნუმანსია	38	19	10	9	53:27	67
ალავესი	38	18	13	7	43:27	67
სპორტინგი	38	18	10	10	54:36	64
ხეტაფე	38	16	16	6	44:32	64
უელვა	38	13	19	6	42:29	58
კადისი	38	16	9	13	49:40	57
ხერესი	38	12	16	10	44:44	52
ეიბარი	38	12	15	11	39:31	51
ტენერიფე	38	9	20	9	31:33	47
ტერასა	38	12	11	15	37:41	47
სიუდად მურსია	38	10	16	12	48:58	46
ელჩე	38	12	10	16	45:58	46
სალამანკა	38	9	18	11	43:41	45
ალმერია	38	9	17	12	41:44	44
მალაგა B	38	10	14	14	39:50	44
კორდობა	38	9	15	14	33:38	42
ლეგანესი	38	8	18	12	31:40	42
პოლი ეხიდო	38	10	12	16	27:38	42
რაიო	38	10	8	20	41:60	38
ლას პალმასი	38	8	13	17	41:64	37
ალხესირასი	38	6	14	18	35:49	32

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი

მეოთხედფინალი. I მატჩები

ტოლუკა 3:2 ამერიკა

ატლასი 1:2 უნამი

ევროპის ახალგაზრდული (U-21) ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური

სერბეთი 3:2 ხორვატია

1:0 ლაზოვიჩი (38), 2:0 ლოვრე (47), 2:1 ედუარდო ალვეში (50), 2:2 კრანიჩარი (68), 3:2 ივანოვიჩი (86)

იტალია 1:2 ბელარუსი

0:1 კირენკინი (6), 0:2 ა. გლები (44), 1:2 ჟილარდინო (58)

გაძევება: ბონერა (90, იტალია)

სერბეთი	1	1	0	0	3:2	3
ბელარუსი	1	1	0	0	2:1	3
ხორვატია	1	0	0	1	2:3	0
იტალია	1	0	0	1	1:2	0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VI ტური

მიუპა 0:1 ალიანსი

იარო 1:2 როვანიემი

ტპ-47 — ტამპერე გადაიდო

ჰაკა — ჰაამენლინა გადაიდო

ალიანსი	6	4	0	2	8:4	12
ტურკუ	5	3	1	1	9:4	10
ჰაკა	5	2	2	1	5:2	8
კტპ	5	2	2	1	7:6	8
მიუპა	6	2	2	2	7:7	8
ჰიკ	5	1	4	0	9:6	7
ჯაზი	5	2	1	2	12:10	7
ინტერი	5	2	1	2	5:5	7
ტამპერე	4	2	1	1	3:3	7
ტპ 47	5	1	3	1	5:5	6
ლაჰტი	5	0	4	1	5:7	4
როვანიემი	5	1	1	3	5:9	4
ჰამენლინა	5	1	1	3	6:12	4
იარო	6	1	1	4	6:12	4

იყიდება!

პერსონალური კომპიუტერები



პენტიუმ 1
(200 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 1,6 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15"
ფასი — 100 $

პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 2,0 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15"
ფასი — 100 $

სამივე ევროთასის მომგები ფეხბურთელები

ფეხბურთელი	ეროვნება	ამპლუა	ჩემპიონთა თასი	თასების თასი	უეფას თასი
დანი ბლინდი	ჰოლანდია	მცველი	1995, აიაქსი	1987, აიაქსი	1992, აიაქსი
სერჯო ბრიო	იტალია	მცველი	1985, იუვენტუსი	1984, იუვენტუსი	1990, იუვენტუსი
ანტონიო კაბრინი	იტალია	მცველი	1985, იუვენტუსი	1984, იუვენტუსი	1977, იუვენტუსი
ფაბიო კუდიჩინი	იტალია	მეკარე	1969, მილანი	1968, მილანი	1961, რომა
არნოლდ მიურენი	ჰოლანდია	ნახევარმცველი	1973, აიაქსი	1987, აიაქსი	1983, იფსვიჩი
გაეტანო შირეა	იტალია	მცველი	1985, იუვენტუსი	1984, იუვენტუსი	1977, იუვენტუსი
სტეფანო ტაკონი	იტალია	მეკარე	1985, იუვენტუსი	1984, იუვენტუსი	1990, იუვენტუსი
მარკო ტარდელი	იტალია	ნახევარმცველი	1985, იუვენტუსი	1984, იუვენტუსი	1977, იუვენტუსი
ჯანლუკა ვიალი	იტალია	თავდამსხმელი	1996, იუვენტუსი	1992, სამპდორია; 1998, ჩელსი	1993, იუვენტუსი
ვიტორ ბაია	პორტუგალია	მეკარე	2004, პორტუ	1997, ბარსელონა	2003, პორტუ

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი

29 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	002	ვესტ ჰემი-კრისტალ პალასი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52

ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი

30 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	003	ბრისტოლი-ბრაიტონი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52

ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი

31 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	004	შეფსფილდი-ჰალიფაქსფილდი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIII ტური

29 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.30	018	შვაინფურტი-ფოიხტი	1,75	3,3	3,8	1,14	1,19	1,76
17.30	019	ელვერსბერგი-ეშბორნი	1,5	4,0	4,0	1,09	1,09	2
17.30	020	აუგსბურგი-ოფენბახი	1,1	4,6	7,5	1	1	2,85
17.30	021	ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი(შ)	1,45	4,0	4,4	1,06	1,09	2,09
17.30	022	ფულენდორფი-კეერხი	2,0	3,2	3,0	1,23	1,2	1,54
17.30	023	შტუტგარტი(შ)-ზოგენი	1,7	3,5	3,3	1,14	1,12	1,69
17.30	024	მაინცი(შ)-ბაიერნი(შ)	2,5	3,2	2,25	1,4	1,18	1,32
17.30	025	ვეგენი-აალენი	1,3	4,0	6,0	1	1,06	2,4
17.30	026	ერფურტი-ზაარბრიუკენი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72

იტალია. სერია C1/A. პლეი-ოფი

30 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.30	043	ლუკეზე-ლუმეცანე	2,1	2,6	3,8	1,16	1,35	1,54
19.30	044	რიმინი-ჩეზენა	2,15	2,5	3,8	1,15	1,37	1,5

იტალია. სერია C1/A. პლეი-აუტი

30 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.30	045	პრატო-პრო პატრია	2,25	2,5	3,8	1,18	1,41	1,5
19.30	046	ვარეზე-რეჯანა	2,1	2,5	4,0	1,14	1,37	1,53

იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი

30 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.30	047	ბენევენტო-კროტონე	2,2	2,6	3,5	1,19	1,35	1,49
19.30	048	აირეალე-ვატერბეზე	2,1	2,5	4,0	1,14	1,37	1,53

იტალია. სერია C1/B. პლეი-აუტი

30 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.30	049	ტარანტო-ფეერშანა	2,0	2,6	4,2	1,13	1,35	1,6
19.30	050	პატერნო-პესარო	2,1	2,5	4,0	1,14	1,37	1,53

ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIX ტური

29 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30	055	ალავესი-ლეგანესი	1,55	3,0	6,0	1,02	1,23	2
21.30	057	მალაგა ბ-სიუადადი	2,3	2,5	3,4	1,19	1,37	1,44
22.00	058	სპორტინგი-ტენერიფე	1,5	3,1	6,5	1,01	1,21	2,09

30 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.00	059	ხეტაფე-ნუმანსია	2,2	2,7	3,4	1,21	1,33	1,5
22.00	056	კორდობა-ტერასა	2,0	2,8	3,6	1,16	1,28	1,57
22.00	060	სალამანკა-ეხიდო	2,0	2,7	3,8	1,14	1,31	1,57
22.00	061	ალხესირასი-ელჩე	3,3	2,7	2,0	1,48	1,24	1,14
22.00	062	კადისი-ლევანტე	2,8	2,7	2,5	1,37	1,32	1,29
22.00	063	უელვა-რაიო	1,7	3,4	3,4	1,13	1,13	1,7
22.00	064	ალმერია-ეიბარი	1,9	2,9	3,6	1,14	1,24	1,6
23.00	065	ლას პალმასი-სერეხი	1,5	2,9	3,6	1	1,05	1,6

დანია. სუპერლიგა. XXXIII ტური

29 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	085	ოლბორგი-მიღტიუელანდი	1,85	3,4	3,5	1,19	1,21	1,72
18.00	086	ბრიონდბიუ-აკადემისკი	1,12	6,0	14,0	1	1,03	4,19
18.00	087	ესბიერგი-ფრეემი	1,4	4,2	6,5	1,04	1,15	2,55
18.00	088	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	6,5	4,2	1,4	2,55	1,15	1,04
18.00	089	ოდენსე-ჰერფიოლგე	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
18.00	090	ორჰუსი-ვიბორგი	2,0	3,4	3,2	1,25	1,23	1,64

დანია. I დივიზიონი. XXVII ტური

30 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	093	ფრეემადი-რანდერსი	4,0	3,8	1,65	1,94	1,16	1,15

31 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	094	იოლსტე

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10 42 00 24 +%

ფორმულა 1. მონაკო. 22 მაისი

8001 გამარჯვებული	8201 ექვსეული	8301 უსწრ. ორე
მ.შუმახერი 1,4	1,06 1,03	1,45
ბარიჩელო 7,0	1,7 1,1	5,0
მონტოია 8,0	1,8 1,15	5,0
რ.შუმახერი 18,0	4,0 1,25	12,0
კულტჰარდი 40,0	9,0 1,5	25,0
რაიკონენი 25,0	6,0 1,35	15,0
ტრული 12,0	3,0 1,2	9,0
ალონსო 11,0	2,4 1,15	7,0
ბატონი 6,0	1,6 1,1	5,0
სატო 30,0	6,0 1,35	20,0
ფიზიჩელა 100,0	25,0 3,5	40,0
მასა 150,0	30,0 4,0	50,0
უებერი 100,0	25,0 3,5	40,0
კლიენი 150,0	30,0 4,0	50,0
და მატა 150,0	30,0 4,0	50,0
პანისი 150,0	30,0 4,0	50,0
ჰაიდფელდი 250,0	50,0 7,0	75,0
პანტანო 300,0	50,0 7,0	75,0
ბრუნი 500,0	100,0 12,0	100,0
ბაუმგარტნერი 500,0	100,0 12,0	100,0

ერთიანი ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი

21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12

13 ივნისი

21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

14 ივნისი

21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

15 ივნისი

21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76

16 ივნისი

21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08

17 ივნისი

21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

18 ივნისი

21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88

19 ივნისი

21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

20 ივნისი

23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

21 ივნისი

23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02

22 ივნისი

23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

23 ივნისი

23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

ბილეთები შეკვეთილია

აფრიკელები თბილისს 30 ხარით და 7 ქურციკით მოადგებიან

სამხრეთაფრიკული სარაგბო კლუბი, პრეტორიის „ბლუ ბულზი“ საქართველოში ჩამოსასვლელად ემზადება. უკვე გადაწყვეტილია და შეთანხმებულია — ზე-12-ის ეშხიანი გუნდი თბილისში 9 ივნისს გვეწვევა და ქართველებთან 12 დღეში სამ შეხვედრას გამართავს.

პირველ შეხვედრაში „ხარები“ ალბათ შეიხელებული შემადგენლობით შეერკინებიან რომელიმე ქართულ კლუბს. შესაძლოა ეს „ლოკომოტივი“ იყოს, ან სულაც ქართული კლუბების ერთგვარი ნაკრები. ეს შეხვედრა 12 ივნისს გაიმართება. მეორე და მთავარი მატჩი 16 ივნისს შედგება და მასში „ხარებს“ საქართველოს ეროვნული ნაკრები დაეჯახება. ბოლოს 20 ივნისს აფრიკელებს უკვე საქართველოს „ა“ ნაკრები დაუპირისპირდება, რომელიც ნაკრების კანდიდატებითა და ახალგაზრდული ნაკრების წევრებით დაკომპლექტდება. სამივე მატჩს „ლოკომოტივი“ მასპინძლობს. პირველი, 12 ივნისის შეხვედრა ემთხვევა თბილისის შვიდკაცა ტურნრის გახსნის დღეს. ორ საათზე აფრიკელებთან რკენაა დანიშნული, ოთხზე კი შვიდკაცას გახსნის საზეიმო ცერემონიალი.

„ხარების“ მოზვერა ფორვარდი გეო კრონხე

აფრიკელები 30 მორაგბით და 6 მწვრთნელით, სულ კი 45-კაციანი დელეგაციით მოდიან და გადაწყვეტილია, რომ 9-დან 21 ივნისამდე საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ბაზაზე, დიღომში დაიდებენ ბინას. იქვე ივარჯიშებენ. აფრიკელთა ყველა ხარჯს საქართველოს რაგბის კავშირი გასწევს. სამაგიეროდ აფრიკელები კისრულობენ ქართველთა საპასუხო ვიზიტის დაფინანსებას 2005 წლის იანვარში. აფრიკაში სტუმრობა ბორჯღალოსნებისთვის 2005 წლის ერთა თასისთვის მზადების დასაწყისადაც ჩაითვლება.

„ბლუ ბულზის“ 30-კაციანი „ქართული“ შემადგენლობიდან შვიდს ერთხელ თუ ბევრჯერ სცმია სამხრეთ აფრიკის ნაკრების გულზე ქურციკამოქარგული მაისურა. სხვათა შორის, საქართველოში არ ჩამოვლენ „ბულზის“ კაპიტანი ვიქტორ მეტფილდი და მისი მეწყვილე „ბულზის“ და „ქურციკების“ მეორე ხაზში ბაკიზ ბოთა. ეს უკანასკნელი თუ გახსოვთ, 2001 წლის შემოდგომაზე სამხრეთაფრიკელ „ქურციკების“ „ა“ ნაკრებთან ერთად გახლდათ თბილისში და 202-სანტიმეტრიანი ზორბა ტანის მიუხედავად ისეთი ლელო გაუტანა ბორჯღალოსნებს, ბევრ უკანახაზელს შეშურდებოდა.

პრეტორიელი „ხარები“ თბილისში მაინც არ მოისაკლისებენ ზორბა ჯეელებს. თუნდაც გოროზი ბური გეო კრონხე ვახსენოთ, რომელიც ნაკრებიდან 2003 წლის მსოფლიოს თასის წინ მოიკვეთა, ზანგი კვინტონ დევიდსისთვის ოთახის გაყოფაზე უარის თქმის გამო (ეს დევიდსიც ნამყოფია თბილისში 2001 წელს). თვალს ხვდება 197-სანტიმეტრიანი და 120-კილოგრამიანი მესამეხაზელი დენი როსოუც, რომელმაც ბორჯღალოსნებს მსოფლიოს თასზე ორი ლელო გაუტანა.

ერთი სიტყვით „ხარებს“ არც ხარივით კუნთმაგარი ბიჭები აკლიათ და არც ვარსკვლავები, მათ სათბილისო შემადგენლობას კი აქვე გთავაზობთ.

კოტე ყორშია

პრეტორიელი „ხარები“

იოჰან რუთსი
მარიუს დელპორტი
ჯონ მამეტსა
ოდვა ნდუნგანე
გევინ პასენსი
ლაფრეს უისი
ეტიენ ბოთა
ჯეიპი ნილი
ფრიკი ველში
მორნე სტეინი
ლუის სტრიდომი
ნორმან ჯორდაანი
სკოტ მათიე
რიჩარდ ბანდსი
ანდრეს ჰუმანი
ქიის ლენსინგი
ვესელ რუ
სიას ვაგნერი
დენი კუცია
კობუს ფან დერ ვალკი
გეო კრონხე
დენი როსოუ
ფრანსუა ფან სხოვენბურგი
ბიან ფერმააკი
დერიკ კუნი
კარელ ჰოფმანი
პიტ კრაუზე
ანტონ ლეონარდი
რუან ფერმუილენი
კრის ლე რუ

მწვრთნელი: ჰეინეკ მეიერი



დენი როსოუ

პლეი ოფი. ფინალი

ვის სახლი დაეწვა, ვის სახელი

ბოილმა ცეცხლი შინიდან ყინულზე წამოიღო

27 მაისი

ტამპა 1:1 კალგარი

ტამპა 4:1 კალგარი
1:0 0:0 3:1

1:0 ფედოტენკო (8), 2:0 რიჩარდსი (43), 3:0 ბოილი (44), 4:0 სან ლუი (46), 4:1 ნიემინენი (53)

ტამპა: ხაბიბულინი; კუბინა-სიდორი, ბოილ-ლაკოვიჩი, პრატ-კალმორი, სარჩი; სან ლუ-ლეკავალიე-ფედოტენკო, სტილმანი-რიჩარდსი-მოდინი, აფანასენკოვი-ანდრეიჩუკი-ტეილორი, რუა, დინგმანი

კალგარი: კიპრუსოფი, რეეე-მონტადორი, ფერენსი-უორინერი, ლეოპოლდი-კომოდორი; იგინლა-კონროი-ჟელინა, დონოვანი-ნილსონი-ნიემინენი, საიმონი-იელ-საბრიკინი, კლარკი-კობასიუ-ლოური



REUTERS ტამპადან

ტამპელი რუსლან ფედოტენკოს პირველი გოლი „კალგარის“ კარში

ამ ორი დღის განმავლობაში მაინც რა მოხდა ისეთი, რომ პირველი მატჩის 4:1 მომგებმა „კალგარიმ“ ამავე ანგარიშით დათმო მატჩი? ან „ტამპამ“, რომელიც სამშაბათს აგრერიგად უნიათოდ გამოიყურებოდა, ესოდენ მოკლე დროში სად გამოქექა ამდენი აზარტი, ჟინი და ენერგია?

ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. საქმე ისაა, რომ ერთი შეხედვით იოლად მოგებულ მატჩს „კალგარიმ“ უაღრესად დიდი ენერგია შეალია. ფორვარდების იმ ზეწოლას, რომელმაც ჩვენ აღგვაფრთოვანა და რომელმაც ასე დააფრთხო „ტამპას“ უკანახაზელები, ეტყობა, განუზომელი ძალისხმევა დასჭირდა, შრომატევადი შავმუშური გარჯა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „ალებმა“ მანამდე ოთხი დღე დაისვენეს, ამჯერად კი მხოლოდ ერთდღიანი პაუზა ჰქონდათ ძალების აღსადგენად. ამიტომ სტუმრებს ის სასწაულებრივი პრესინგი აღარ გამოუვიდათ და „ელვებსაც“ აღარ გაუჭირდათ შეტევების წამოწყება და მის ყოჩაღ ფორვარდებს თავიანთი კლასის ჩვენების შესაძლებლობა მიეცათ.

პირველი გოლიც ამჯერად „ტამპამ“ გაიტანა. მთელი მატჩის განმავლობაში უდიდესი სულისკვეთებით მებრძოლ ვენსან ლეკავალიეს მიერ დაწყებული კომბინაცია რუსლან ფედოტენკომ დაასრულა და უკვე მე-8 წუთზე „ტამპა“ წინ გაიჭრა. ცოტა ხანში კი გაირკვა, რომ ეს „კალგარი“ ძალიან განსხვავდება „კალგარისგან“, რომელსაც გათანაბრება მართებს... გატანილი გოლის შემდეგ „ტამპა“ დამშვიდდა და თავის საფირმო, კონტრშეტევით თამაშზე გავიდა. ამიტომაც სტუმრები თითქოს ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ „ელვების“ იერიშები გაცილებით მწვავე იყო, თუმც მეორე შესვენებაზე ანგარიში არ შეცვლილა. ეს „კალგარის“ მეკარე მიიკა კიპრუსოფის დამსახურებაა. ბოლო მესამედში კი აშკარა გახდა, რომ სტუმრები დაიღალნენ — ჯერ ორჯერ წესები დარღვიეს, უმცირესობაში ყოფნისას კი გადაურჩნენ გოლს, მაგრამ „ტამპამ“ გაგრძელა შეტევები და ბოლოს ბრედ რიჩარდსმა დამატებაზე მეორედ აიღო სტუმართა კარი. რაღაც 69 წამში კი ანგარიში 3:0 გახდა იმავე რიჩარდსის ჩინებული პასის შემდეგ. დან ბოილმა პრაქტიკულად ცარიელ კარში გაიტანა.

საინტერესოა, რომ პირველი მატჩის მსვლელობისას ბოილის სახლში ხანძარი გაჩნდა. ბედზე იმ მომენტში შინ არავინ იმყოფებოდა, სახანძრო ბრიგადამაც საკმაოდ სწრაფად ჩააქრო ცეცხლი, თუმც ზარალი მაინც დიდია (წინასწარი მონაცემებით 300 000 დოლარი). ცხადია, ბოილმა ბევრი ინერვიულა. ოთხშაბათს ღამეს არც უძინია, მაგრამ მის თამაშს ეს არ დასტყობია. მცველმა გოლითაც კი შეიტანა წვლილი მოგებაში.

„მატჩის მერე რომ მითხრეს, შენი სახლი იწვისო, მეგონა, ხუმრობდნენ, მაგრამ მართლაც ასე ყოფილა. რას იზამ, ასეთია ცხოვრება. არადა, როცა თასის ფინალში თამაშობ, თავი ზეკაცი გგონია და აზრადაც არ მოგდის, რომ შეიძლება, ასეთი უსიამოვნება დაგატყდეს თავს“ — ბოილის კომენტარი საკმაოდ ფილოსოფიურია.

ცხადია, მისი გოლის შემდეგ თამაშის ბედი გადაწყდა. მით უმეტეს, რომ ორ წუთში „ელვებმა“ კვლავ გაიტანეს — მარტენ სან ლუიმ ლეკავალიეს მორიგი პასი გამოიყენა, დანარჩენ დროში კი სტუმრებმა მხოლოდ ერთი შაიბა გაქვითეს და უფრო ფიზიკურ ანგარიშსწორებას გადაჰყვნენ.

სამველ ღარიბიანი

ლიუბლიანაა თუ რუსთავი?!

ვისკი ნისიაზე და უცხვირპირო სპონსორები

ბოისა ბოისას ჩემპიონობამ გაახარა

ვლადიმერ ბოისა სლოვენიის ჩემპიონია... გუშინწინ საღამოს ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ ფინალური სერიის მესამე მატჩშიც დაამარცხა ლაშკოს „პივოვარნა“ და პირველი, ვინც საჩემპიონო თასი აღმართა, კაპიტანი ბოისა იყო. ვოვა მეორედ გახდა სლოვენიის ჩემპიონი, მაგრამ როგორც თავად ამბობს, შარშანწინდელი გამარჯვება ახლანდელს ვერც შეედრება: „სულ სხვაა, როცა შენი კაპიტნობით გახდება გუნდი ჩემპიონი. უზომოდ გავიხარე და გამარჯვება კარგად დათრობითაც აღვნიშნე.“



— გილოცავ ვოვა, ეს უკვე შენი მეორე ჩემპიონობაა „ოლიმპიაში“...

— ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ როცა გავიმარჯვეთ, თასი პირველად მე გადმომცეს. ეს ძალიან მაგარი გრძნობაა, თასს პირველი რომ კოცნი.

— „პივოვარნა“ ვერ გამოდგა სერიოზული მეტოქე...

— ასე გამოვიდა, სერია 3:0 მოვუგეთ, მაგრამ წინა მატჩებისგან განსხვავებით გუშინ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ბოლო შეხვედრამდე ლაშკოელები სტუმრადაც იოლად დავამარცხეთ და შინაც, მესამე მატჩშიც ლიუბლიანაში იყო, მაგრამ „პივოვარნამ“ მთელი ძალით იბრძოლა. თავიდან 0:10 ჩამოვრჩით და თამაშს მეტწილად ვაგებდით. ანგარიშის გათანაბრება მესამე მეოთხედის ბოლოს მოვახერხეთ, რის შემდეგაც „პივოვარნასთვის“ შანსი აღარ მიგვიცია.

— შენ რა ქენი, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— სტატისტიკა ნაკლებად მაინტერესებს, ჩემთვის მთავარი გამარჯვება იყო. ისე კი არც შედეგიანობაში ჩამოვრჩი ვინმეს, როგორც მახსოვს, 16 ქულა გავაკეთე და დაცვაშიც კარგად ვიდექი.

— ჩემპიონობას ალბათ დიდი რეზონანსი მოჰყვა...

— ქომაგთაგან ბლომად ხალხი მოვიდა, მაგრამ თავად კლუბის ხელმძღვანელობას, უფრო კი სპონსორებს არ გახარებიათ ისე, როგორც საჭირო იყო. საქმე ისაა, რომ „ოლიმპიას“ დამფინანსებლებს თვალში არ მოსდით გუნდის ახლანდელი ხელმძღვანელობა — მწვრთნელი, გენერალური დირექტორი და მათი გაშვება უნდათ. ფინალი რომ წაგვეგო, დაუფიქრებლად გაყრიდნენ ყველას, ახლა კი...

— აბა, არც პრემიებს დაგირიგებენ?

— არ ვიცი, შეიძლება ასეც მოიქცნენ. ჩვენი წარმატება იმდენად არ ესიამოვნათ, რომ არც მოგვილოცეს. საჩემპიონო ბანკეტიც კი ჩვენ, მოთამაშეებმა გადავიხადეთ. სხვათა შორის, ისიც ნისიაზე ვიქეიფეთ ლიუბლიანის ერთ-ერთ ბარ-დისკოთეკაზე.

— ნისიაზე? ლიუბლიანაა თუ რუსთავი?

— ნაღდად არ გადავიხდია ის 1500 ევრო, რაც წუხანდელი მოლხენა დაგვიჯდა. თან ეს ფული მთლიანად დასალევიაა, სუფრა არ გაგვიშლია, ვისკი დავლიეთ და მთელი ღამე ვცეკვავდით. ის ბარ-დისკოთეკა ჩემი ახლო მეგობრისაა, თუმცა არც ისე გვეტყოდა უარს, „ოლიმპიას“ კალათბურთელებს მთელი ქალაქი პატივს გვცემს.

— დისკოთეკაზეც არ მოსულან კლუბის სპონსორები?

— არავინ არ ყოფილა მოთამაშეების გარდა, არც მწვრთნელები. მხოლოდ გუნდელები ვიყავით, ცოლებითა და გელფრენდებით. მე ჩემს მეუღლე ალენკასთან ერთად ვიყავი, პატარა ნაია სახლში იყო, დედაჩემი ჩამოვიდა და მან დავუტოვეთ. მე, დილის ხუთ-საათამდე ვეძელი და ჩამოვედი. სანამ ბოლონებამდე დარჩენილ ერთ-ორ მოგრადებს იყენებენ, ვინ იცის, ახლაც იცეკვავენ...

— სეზონი დასრულდა, ახლა რას აპირებ?

— დღეს გუნდის კრებაა და გეგმებიც მოიხაზება. საქართველოში ჯერ მაინც ვერ წამოვალ, 11 ივნისს ქორწილი მაქვს. ყველაფერი მზადაა, მანდაურები ჩამოვლენ და მაგრადაც მოვილხენთ. გავიგე, რომ სხვებთან ერთად ზვიად ბაბიაშვილიც ახერხებს ჩამოსვლას და ძალიან მესიამოვნა. რაც უფრო მეტი ქართველი იქნება ჩემს ქორწილში, მით უფრო გამიხარდება.

— შენი ძმაც ჩემპიონი გახდა, ოღონდ საქართველოში...

— სიმართლე გითხრა, ჩემს ჩემპიონობაზე არანაკლებ მაგ ამბავმა გამახარა. ტოლიკა ძალიან მშრომელი ბიჭია და მიხარია, რომ მონდომება დაუფასდა. გავიგე, ფინალურ სერიაში და მანამდეც, ძალიან მაგრად უბრძოლია. შესაძლოა, კლასი არ ჰქონდეს გადასარევი, მაგრამ ჯიგრით თამაშში აბა, ვინმე შეედაროს... ტოლი კი კვირას ჩამოდის ლიუბლიანაში, შაბათს კი მანდაურ „ოლ სტარში“ ჩატენვების კონკურსში აპირებს გამოსვლას. სლოვენიაში რომ ჩამოვა, ვეცდები, აქ დავიტოვო. თუ ჩემი მენეჯერი ვერა, მე მაინც მოვუნახავ რომელიმე საშუალო გუნდს.

ირაკლი პერტაია

2004 NBA Playoffs

კონფერენციის ფინალი

შენი ადგილი მოედანზეა!

კობი ბრაიანტი ბურთით ლაპარაკობს

27 მაისი

დასავლეთი

მინესოტა 1:3 ლეიკერსი

ლეიკერსი 92:85 მინესოტა

ლეიკერსი: პეიტონი (6), ბრაიანტი (31), ჯორჯი (4), მელოუნი (12 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ონილი (19 ქულა, 19 მოხსნა); ფიშერი (15), ფოქსი (5), მედვედენკო, რაში, უოლტონი

მინესოტა: მარტინი (3), ჰასელი (8), სპრიუელი (12), გარნეტი (28 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი), ჯონსონი (2); შჩერბიაკი (19), ჰოიბერგი (7), მადსენი (3), კასელი (3), ოლოვოკანდი, მილერი



კევინ გარნეტს არაფერი გამოსდის



REUTERS ლოს ანჯელესიდან

კობი ბრაიანტის გაბრაზება საშარო საქმეა

ზოგი ჭირი მარგებელია! რითი არგო წარამარა სასამართლოში სირბილმა და ლოს ანჯელესიდან დენვერში ფრენამ კობი ბრაიანტს? შესაძლოა, თამამი ვარაუდი იყოს, მაგრამ მაინც მოგახსენებთ: კობი რამდენჯერაც პროცესიდან პირდაპირ მივიდა თამაშზე, იმდენჯერ ზურგზე მტვერი ადინა მეტოქეებს.

ზის ის სადღაც კოლორადოს შტატის სასამართლოს დარბაზში და თავჩაღუნული ისმენს, როგორ ქექავენ მის პირად ცხოვრებას კანონის სუფრას შემომსხდარი ენაალესილი ადამიანები. ბრაიანტი კომუნიკაბელური ბიჭია და ლაპარაკიც არ ეზარება, მაგრამ სასამართლოზე ბევრი არაფერი ეთქმის — ჰოსა და არას თქმით შიმშილს ვერ მოიკლავ. ჰოდა, რომ ჩამოდის ლოს ანჯელესში, მტრისას, ვისაც მოედანზე გადაეყრება.

ამ პლეი ოფებში სამჯერ მოხდა, რომ ბრაიანტმა თამაშს ჩაუსწრო — პირველად მან „ჰიუსტონ როკიტს“ 31 ქულა ჩაუგდო. შემდეგ დარბაზში პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპიდან მისული „სან ანტონიოს“ 42 ქულით დაატყდა და ახლა, როცა ლოს ანჯელესში თამაშამდე ორი საათით ადრე ჩამოფრინდა, „მინესოტას“ 31 ქულა უმარჯვა.

„მინესოტა“ 1:2 აგებდა სერიას და ამ თამაშში დამარცხების უფლებას ვერ მისცემდა თავს. ძალიანაც მოინდომეს „მგლებმა“ და მხოლოდ 5 ქულით წააგეს პირველი ტაიმი, მაგრამ მესამე მეოთხედში ბრაიანტის შეჩერება გართულდა და „მინესოტამ“ ამ 12-წუთიანის 20:30 დამთობით საბოლოოდ დაკარგა მატჩის სადავეები.

ნამატჩევს ბრაიანტი ძუნწად იძლეოდა კომენტარებს. მისმა უფროსმა თანაგუნდელმა კარლ მელოუნმა უფრო ილაპარაკა მასზე. „ყველამ ვიცით, რა მდგომარეობაშია კობი. მე რომ შემეძლოს არჩევანის გაკეთება ჩემპიონობასა და ჩემი პატარა ძმის ბედნიერებას შორის, მეორეს ავირჩევდი.“ ასე გამოხატა მელოუნმა თავისი მხარდაჭერა. ყველამ იცის, რამდენს ნიშნავს ამ ბებერი და უუმური ვარსკვლავისთვის ჩემპიონობა. ის ამიტომაც დათანხმდა რიგითი ჯარისკაცის წილ მილიონიან ხელფასს და „იუტადან“ „ლეიკერსში“ გადავიდა, იქ გაჩემპიონების მეტი შანსი მაქვსო.

მაგრამ როგორც ირკვევა, მელოუნის ქვის მკერდში სიყვარულით და სიბრალულით გამთბარი გული ძგერს.

კოტე ყორშია

ფეხბურთი

ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
A ჯგუფი. IV ტური

სპარტა 1:1 ვენლო

ვიტესი 1:0 ჰელმონდი

B ჯგუფი. IV ტური

გრაადფსხაპი 2:0 ჰერაკლესი

ვოლენდამი 1:2 ეძსელსიორი

ისლანდია

პრემიერლიგა
III ტური

ჰაფნარფიორდური 1:1 კეფლავიკი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VI ტური

ტპ-47 — ტამპერე *გადაიდო*

ნორვეგია

თასის პირველი ეტაპი

სარპსბორგი 0:2 *ვოლერენგა*

ირლანდია

პრემიერლიგა. XIII ტური

უოტერფორდი 1:1 კორკ სიტი

შელბურნი 0:0 ბოჰემიანსი

სენტ პატრიკსი 3:1 დუბლინი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

B ჯგუფი. I ტური

გერმანია 2:1 შვეიცარია

შვედეთი 3:1 პორტუგალია

ამხანაგური მატჩები

საფრანგეთი 4:0 ანდორა

ფინეთი 1:4 შვედეთი

აზერბაიჯანი 3:1 უზბეკეთი

ახალგაზრდულები (U-21)

ჰოლანდია 2:1 ბელგია

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი საპრიზო 13 263 280 €

რად ხართ, ჩემპიონებო?

გოგონამ ამოიცვა, ბიჭმა ჩაიხადა

REUTERS პარი ზიდან

მუხთალმა ტრავმებმა ჩემპიონი ფერერო ასე უფერულად გამოაგდო პარიზიდან

27 მაისი

ტიტულის დამცველი არავინ დარჩა

ჟუსტინ ენენ-არდენის დარად შარშან ნაშოვნი ტიტულის დამცველი ხუან კარლოს ფერერიც რომ არ იყო, ამას ცოტა ვინმე თუ ეჭვობდა. მხოლოდ იმას მარჩიელობდნენ, რომელ წრემდე მიაღწევსო. მართლები ისინი გამოდგნენ, ვისი აზრითაც კაცთა შარშანდელ ჩემპიონს, შარშანწინდელ ფინალისტსა და ბოლო ოთხი წლის ნახევარფინალისტს სწორედ მეორე წრეში და თანაც უსახელო რუსბიჭთან უნდა წაეფორხილა.

ასეთი გათანგული, უხალისო და არაფრის მაქნისი კოლობიჭი ბოლოჯერ როდის ვნახეთ, არავის გვახსოვს. უფრო სწორად, ასეთი ხუან კარლოს ფერერო ალბათ არც არასდროს გვინახავს. ძალიან ძნელია ტიტულის დაცვა, როცა ასი პროცენტით ჯანზე არა ხარო, იძახდა იგორ ანდრეევთან წაგების შემდეგ ვალენსიელი. თუმცა იმ დღეს ის ალბათ იმის მეასედსაც ვერ ქაჩავდა, რაც თავის საზეო მატჩებში უჩვენებია.

შეგახსენებთ, რომ სეზონის სტარტი ფერეროს ჩუტყვავილამ წაუმურდლა, მერე კი ჯერ მაჯა იტკინა, სულ ბოლოს — ნეკნები, ხოლო უკვე პარიზში ჩასულს მუცლის სალმობამაც უყელა. ორშაბათამდე მას საერთოდაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი, გავიდოდა თუ არა კორტზე და ტომი ჰაასთან პაექრობაც მხოლოდ ზორბა ტკივილგამაყუჩებელი დოზის შემდეგ შეძლო. ამ მატჩმა მის ქომაგებს იმედებიც აუნაკვერცხლა, მაგრამ ტკივილი მაინც ჩვეულებაზე უმტკიცესი გამოდგა — დიდ მეთიხნარეს ტრიბუნაზე ანაცვლება ნაადრევად მოუხდა.

20 წლის ანდრეევისთვის კი, ვინაც ამ ტურნირამდე რეიტინგსიის 77-ე საფეხურზე იდგა და სლემტურნირებზე ერთი მოგებაც არ დაეკვეხოდა, ეს, ცხადია, კარიერის უდიდესი მიღწევა გახლავთ. თუმცა ტრავმირებულ ვაჟკაცთათვის ბდღვირის ამდენ ჭილყვავებს მოგვიანებით სხვა ვაჟკაცები ტკვერენ ხოლმე. ვინძლო, ახლაც ასე გამოვიდეს.

მუშკეტერები

მესამე წრემდე მასპინძელ კაცთაგან, არც მეტი, არც ნაკლები, ექვსმა მეჩოგნემ მიაღწია. ეს კი — სტატისტიკის თანახმად — ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან ვიდრე დღემდე ფრანგთა მეორე საუკეთესო შედეგი გახლავთ. და ეს მაშინ, როცა წარმატებულ ექვსეულში ვერ მოხვდნენ ფრანგთაგან ურეიტინგოსნესნი — სებასტიან გროჯანი და არნო კლემანი.

კლემანმა — თქვენც კარგად გეხსომებათ — პირველ წრეში სარეკორდოდ გრძელ, ორ დღეზე გაჭიმულ მატჩში თვისტომთანვე, მერე ირაკლი ლაბაძის მძლეველ ფაბრის სანტოროსთან დათმო. გროჯანმა კი, ვინაც წლეულს ძალზედ ფინთად ჩოგნაობს და პარიზულ სეფეთიხნარზე სულაც ვირუსიანი გამოდიოდა, რეიტინგსიის 202-ე ალაგას მდგომ მეტისმეტად უსახელო იტალიელ პოტიტო სტარაჩესთან ჩაიფლავა.

რაც შეეხება წარმატებულ მეჩოგნეებს, ესენი — სანტოროს გარდა — ნიკოლა ესკუდე, მიშელ ლოდრა, ოლივიე მუტი, ჟულიენ ბენეტო და ჟულიენ ჟანპიერი გახლავან.

ოღონდ სანამ ამათზე მოგახსენებდეთ, ხამს, ჯერ ყველაზე უსახელო ჟერომ ენელი ვახსენოთ, რომელმაც წლევანდელ როლანგაროსობაზე არამცთუ კარიერის პირველ სლემშეხვედრა, არამედ საერთოდაც პირველი საეტიპიო მატჩი გამართა და მყისვე რვაგზის სლემტიტულოსან, ტურნირის 1996 წლის ჩემპიონ ანდრე აგასის აჯობა.

ენელის დარად ამერიკელის ძლევით გაილაღა მუტიმაც, ვინაც მეორე წრეში ამქრის მეორეჩოგნე ენდი როდიკი დაიმორჩილა. პირველად უწიეს შმობლიური სლემტურნირის მესამე წრეს ესკუდემა და ლოდრამ, ხოლო ბენეტო და ჟანპიერი, რომელთა გვარები აქამდე მხოლოდ გადამკვდარ მენიძლავეებს თუ გეცოდინებოდათ, ასევე ანგარიშგასაწევ მეტოქეებს გასცდნენ — პირველი დავიდ ფერერს, მეორე კი ვინს სპადიას.

არადა, ზედ ამ ტურნირის წინ ფრანგული ჩოგბურთის ოდინდელი აფიცრები — ანრი ლეკონტი და სედრიკ პიოლინი თავიანთ მოქმედ თვისტომებს შემოსწყრნენ და ქოქოლა დააყარეს. პიოლინმა თქვა, ჩვენები როლანგაროსის მოსაგებად სათანადოდ არ შრომობენ, ამას კაი ხანგრძლივი და ჩამყუდროვებული გარჯა სჭირდებაო. ლეკონტმა კი — ეგენი იმითაც კმაყოფილები არიან, რაც აქვთ. ფულს ბარაქიანად შოულობენ და დანარჩენი სულ ჩოგნებზე ჰკიდიათო — ასე დასძინა.

ფრანგ მეჩოგნეთა საამტურნირო თავგამოდება ეგებ ვეტერანთა ამ საყვედურის ერთგვარ პასუხადაც მივიღოთ.

მისი უდუნდულესობის გამოცდა

მის უდუნდულესობას, ქალთა ჩოგბურთის ბაყვბაყვდეგ სერენა უილიამსს იმ დღეს სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუხდა. გამომცდელის ფუნქცია 17 წლის მორიგმა რუსმა ყლორტგოვომ მარია, შინაურობაში კი მაშა კირილენკომ შეასრულა.

მაშამ, რომელიც რეიტინგსიაში მე-100 ადგილზე დგას, 2002 წლის ჩემპიონის წინააღმდეგ ისეთი ზრდასრული, გონიერი და ძალუმი ბურთაობა აჩვენა, ამქარში მხოლოდ რჩეულთ რომ ჩოგანეწიფვებათ ხოლმე. ცოტა მეტი გამოცდილებაც და მას ეგებ ტურნირის კიდევ ერთი ზორბა სენსაციაც გამოეცხო. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როცა ის ბიცოლა ორასინის უმცროს გოგოს მესამე სეტს 4:2 უგებდა, მას უეცრად ჩოგანი აუკანკალდა და მანამდე ძალზედ შემცბარ-აჭრილ მეტოქეს მიჯრით ოთხი გეიმი ჩააბარა.

სერენა, რომელსაც ვარდისფერ მაისურთან ერთად ამ ფერისვე ამობიკინებული სექსშორტები ეცვა და ისეთი ბარაქიანი იყო, როგორც რომ ამძუნებული დედალი ვეშაპი, ნამატჩევს იმედგაცრუებას ვერ მალავდა.

„ძალიან ცუდი დღე მქონდა — ამბობდა ის — ათასობით შეცდომა დავუშვი და საერთოდაც მაგარი აჭრილი ვიყავი. არა, ხვალ დილით უფრო ადრე უნდა ავდგე და მეტი ვივარჯიშო. დროც კი არ მეყოფა იმის მოსაყოლად, დღეს რა და რამდენი მივქარე.“

მესამე წრეში ის ხორვატ სილვია ტალაიას შეხვდება.

28 მაისი

კაცები

მეორე წრე

მარატ საფინი (20, რუსეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:4, 2:6, 6:2, 6:7 (4:7), 11:9

მესამე წრე

ტიმ ჰენმანი (9, ბრიტანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:1, 6:2; ტომი რობრედო (17, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (11, ჩილე) 6:2, 6:0, 6:2; ხაუნ იგნასიო ჩელა (22, არგენტინა) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:4, 4:6, 6:3; ნიკოლას ესკუდე (საფრანგეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:2, 7:5, 6:7 (3:7), 6:2; მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — ჟულიენ ჟანპიერი (საფრანგეთი) 6:2, 6:2, 6:3

ქალები

მესამე წრე

ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) — არანჩა პარა სანტონია (ესპანეთი) 6:3, 6:2; ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — მარისა ირვინი (აშშ) 6:1, 6:4; მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) — ნადია პეტროვა (8, რუსეთი) 6:3, 6:2; მარია შარაპოვა (18, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (10, რუსეთი) 6:3, 7:6 (7:3); პაოლა სუარესი (14, არგენტინა) — ტატიანა პერებიუნისი (უკრაინა) 6:3, 6:3; მაგდალენა მალეევა (21, ბულგარეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:3, 7:6 (7:3)

მარატ საფინმა და ფელიქს მანტიამ გუშინწინ ოთხი საათისა და 14 წუთის განმავლობაში იბურღავეს, მაგრამ მათ შორის უმჯობესის გამოვლენა ეგრეც ვერ მოხერხდა — იმის გამო, რომ პარიზი მიმწუხრის ბლონდებში გაეხვია, მსაჯმა მატჩის გადატანა ბრძანა. საიმომენტოდ უკვე მეხუთე სეტი მიდიოდა და მეტოქეები, უკიდურესი დაღლილობის მიუხედავად, ძანც მყარად იდგნენ — 7:7.

მეხუთე სეტამდე კი მაცქერალმა მართლაც დაძაბული, დაშხოშიანი განდაგანა იხილა. ერთ მომენტში, სუფრაზე რა მოსატანია და, თავისი სიჩაუქით აღტყინებულმა საფინმა ჩაიხადა კიდეც, რის სანაცვლოდაც მსაჯის გაკიცხვა და ქულის ჩამორთმევა დაიმსახურა. მოკლედ — დიდი ამბავი იყო.

იოლად ის და მანტია ერთმანეთს არც გუშინ გაყრიან, თუმცა საჭირო ორგეიმიანი უპირატესობა ოყრაყმა რუსმა მაინც შედარებით მალე შეძლო — მატჩის განახლებიდან 24 წუთში მან მესამე წრისკენ გაივაკა და იქ გროჯანის მძლეველ იტალიელ სტარაჩეს შეხვდება.

საკარიერო ნავსი გატეხა 29 წლის დახვეწილმა ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა, ვისაც თავის რვა აქამომდელ როლანგაროსობაზე მესამე წრის მიღმა ერთხელაც ვერ გაეღწია. გუშინ მან საოცრად დამაჯერებლად ითამაშა ჯიშად მეთიხნარე გალო ბლანკოს წინააღმდეგ და მეოთხედფინალისთვის მუშკეტერთაგან მიშელ ლოდრასთან იბრძოლებს. აქვე გეტყვით, რომ უიმბლდონის გარდა ჰენმანს არც ერთ სლემტურნირზე მეოთხედფინალში არ უთამაშია.

შედარებით იოლად იმარჯვა ქალთა ტურნირის მთავარფავორტმა და მასპინძელთა მთავარიმედმა ამელი მორესმომ. ღონიერმა დედათამავალმა უპრობლემოდ დათრგუნა უსახელო ესპანელი არანჩა პარა სანტონია. მასთან ერთადვე იქნება ლინდსი დევენპორტიც, ვისაც გზის გასაკვალად თვისტომის მარისა ირვინის დაჩაგვრა მოუხდა.

გამორჩევით აღნიშვნას მოითხოვს 17 წლის ციმბირელ-ფლორიდელი წანწკლა, კორტიდან მეტრის და 83 სანტიმეტრის ამთვლელი რუსული სექსრიჟრაჟი მარია შარაპოვაც. ბევრისთვის მოულოდნელად მან სეტისწაუგებლად აჯობა თავის მე-10 ნომრად განთესილ თვისტომ ვერა ზვონარიოვას და ნამატჩევს, საკუთრივ მატჩზე საუბრის შემდეგ ყველას თხოვა, თავი დამანებეთ კურნიკოვასთან შედარებებითო.

და არც გაემტყუნებოდა, რაკიდა ჩოგბურთის სექსიმბოლოდ ქცეული უფროსი თანამემამულისგან განსხვავებით, რომელსაც ერთი ქეციანი საადბლეიტიო ტიტულიც ვერ მოურეწავს, მის ანგარიშზე უკვე ორი ჯილდო დევს.

ხოლო, თუკი ის მომდევნო მატჩში გერმანელ მარლენ ვაინგარტნერსაც მოუგებს, თავის საუკეთესო სლემშედეგსაც გაიმეორებს — შარშან მან უიმბლდონზე მეოთხედფინალამდეც მიატანა.

ამ ვაინგარტნერმა კი, სხვათა შორის, ასევე ძალზედ მოულოდნელად, სულ რაღაც 71 წუთში აოტა შარაპოვასაც თვისტომი, შარშანდელი ნახევარფინალისტი ნადია პეტროვა.

ლევან კელაურაძე

REUTERS პარი ზიდან

ვაგლახ, ეს შავთეთრი ფოტო ნაწილობრივადაც ვერ ასახავს სერენას სისრულესა და მისი აღკაზმულობის ფერადოვნებას

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge